# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი შაბათი 8 მარტი 2003 №40 (1811) ფასი 50 თეთრი



ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ, საღამოს შვიდ საათზე საქართველოს ნაკრები კრასნოდარში ჩაფრინდა და სასტუმრო „ინტურისტ-კრასნოდარში“ დაბინავდა. ნამგზავრ ბორჯღალოსნებს არ უვარჯიშიათ, ამის მიზეზი ქირვეული ამინდი იყო. ცამ პირი მოხსნა და კოკისპირულად გაწვიმდა. გუშინ კრასნოდარში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს ბიძინა გეგიძეს დავუკავშირდით ...

# კრასნოდარში ქალები წვიმს იფიქრე დათვებზე!

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. აეროპორტში რუსეთის რაგბის კავშირის წარმომადგენლები დაგვხვდნენ და სასტუმრომდე მოგვაცილეს. ახლა მათ პრეზიდენტთან იური ნიკოლაევთან მივდივარ, მატჩისწინა ტრადიციულ ვახშამზე.

— **სასტუმროში როგორი პირობებია?**

— ნორმალური. ამ სასტუმროს კარგად ვიცნობთ, შარშანწინაც აქ ვიყავით, მაგრამ მას შემდეგ გვარიანად გაულამაზებიათ.

— **ხვალ დილით ჩვენები ალბათ კრასნოდარის „დინამოს“ სტადიონზე ივარჯიშებენ.**

— არ ვიცი, ვნახოთ, აქ დილიდან გადაუღებლად წვიმდა და სტადიონი დატბორილია. არის სათადარიგო მოედანი, შეიძლება იქ ვივარჯიშოთ.

— **კრასნოდარში ალბათ სარვამარტო განწყობა იგრძნობა...**

— იგრძნობა კი არა, ერთი ამბავია. სასტუმროს რესტორანი ქალებითაა სავსე. წვიმამ ახლახან გადაიღო და ბიჭებიც სასეირნოდ გავიდნენ. საშიშროებაც ალბათ აქედან გველის. ვხუმრობ, რა თქმა უნდა, ჩვენები სერიოზულად არიან განწყობილნი და გამარჯვების დიდი იმედი გვაქვს.

**ბაჩო სვანიძე**




ბადრი კეთილაძის ფოტო

# დიმიტრი იაშვილი ჩვენ მოვუგებთ ირლანდიას, თქვენ მოუგეთ რუსეთს




ინტერვიუ დიმიტრი იაშვილთან იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე

# ბოლნისის სიონმა ამინდი შეუკვეთა თუ გაავდრდა, გამგებელიც გაავდრდება

იხილეთ მეოთხე გვერდი



# ოჰო?!

## ლერი ხაბელოვი ათენის ოლიმპიადაზე გურამ ბიგანიშვილს ნავში უჯდება






# მიხაელ შუმახერი ისევ ტრიუმფის მადაზეა

## ავსტრალიაში 54-ე ფორმულა იწყება

# სელტიკი vs რეინჯერსი

# მაკლიშის კლიშე

## ექვსჯერ ნანახს შვიდჯერ ნანახი სჯობს





ალექს მაკლიშის „რეინჯერსისა" და მარტინ ონილის „სელტიკის" ქომაგებს შორის დღესაც პოლიცია ჩადგება



**აიბროქსელთა** ბოსი ალექს მაკლიში დარწმუნებულია, რომ „სელტიკთან" გასვლაზე ფრე შესაძლოა მის გუნდს სისხლის ფასად დაუჯდეს — სქოთური პრემიერლიგის ლიდერი იძულებულია თავდაჯერებულობით და რწმენით ცის კიდემდე გაიბეროს ჩემპიონთა ბანაკში.

ჩემპიონი „სელტიკია" და დღევანდელი „ოლდ ფირმიც" მის ბუნაგ „სელტიკ პარკზე" ანუ „პარკჰედზე" ჩაოზშივრდება.

„სელტიკი" უეფას თასზე „შტუტგარტის" დაუთოვებითაა აზურებული და მტარვალი „რეინჯერსისთვის" სითბური ენერგია ნამდვილად არ აკლია.

კელტებს არც ის აშინებთ, რომ მაკლიშის გაწვრთნილი „ჩაფრებისთვის" მათ ჯერაც არ მოუგიათ. მაკლიშის თავკაცობით „რეინჯერსმა" ექვსი „ოლდ ფირმი" ითამაშა, სამი მოიგო და ამდენჯერვე ფრეს გამორჩა.

უბრალოდ დროის ამბავია — „რეინჯერსის" ჯლიგინი უნდა დამთავრდეს — ასეთია კათოლიკური გლაზგოს საამმატჩო ალმსარებლობა.

ექვსი თამაში არ წაუგია და ახლა უნდა წააგოს — ლოგიკა ბევრჯერ ნათქვამ-მოსმენილია, რასაც ბრიტანეთში „საშუალოთა კანონს" უწოდებენ — ილიომის არსი ვგონებ, ნათელია.

„ჩვენი თვალსაზრისით, მთავარია, რომ ხელუხლებელი დარჩეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მატჩი არ უნდა წავაგოთ. მიუხედავად ამისა, ჩვენს ფილოსოფიაში არ ჯდება, ფრეს გულისთვის გახვიდე სათამაშოდ. კარგად გვესმის, რომ თუ მოვიგებთ, დიდ უპირატესობას მოვიხვეჭთ საჩემპიონო რბოლაში და ბიჭებს მოვუწოდებ: წავიდეთ და გავიმარჯვოთ" — ბობოქრობს მაკლიში.

თუ „რეინჯერსმა" მოიგო, ცხრა ქულით დაუსხლტება „სელტიკს". კელტებს თამაშით ნაკლები კი აქვთ ჩატარებული, მაგრამ ასეთი დიდი ფორის ამოქაჩვა დარჩენილ რვა ტურში შეუძლებლად ჩანს.

ბოლო „ოლდ ფირმი" ასევე „პარკჰედზე" გაიმართა ოქტომბერში. მატჩი 3:3 დასრულდა, თუმც „ჩაფრები" ორჯერ იგებდნენ, 2:2-ზე შოთა არველაძემ შეაგდო, მაგრამ ჩვენებურის გოლი სამქულიანი არ გამოდგა.

„ამ სეზონში უკვე ვიყავით „პარკჰედზე" და დამსახურებულ ფრეს გამოვკარით ხელი, მაგრამ ალბათ მეტი უნდა გაგვეხერხებინა" — მიაჩნია მაკლიშს.

„სელტიკის" შუახაზელი ალან ტომპსონი კი საპირისპიროს გაიძახის: „იმ თამაშის მოგება ძალიან კარგადაც შეგვეძლო, მაგრამ დასანანი გოლები გავუშვით. ყოველივე ეს ამ „ოლდ ფირმისთვის" ცოტა არ იყოს, დამატებითი ზეწოლის ქვეშ გვაქცევს. მას შემდეგ, რაც მაკლიში „რეინჯერსში" მივიდა, „ჩაფრები" არ დაგვიმარცხებია, მაგრამ საშუალოთა კანონი ხომ იმას ნიშნავს, რომ ხანდახან ნავსი ტყდება. იმედია, ეს ამ შაბათს მოხდება".

მაკლიშისგან განსხვავებით, „სელტიკის" მენეჯერი მარტინ ონილი სულ სხვა ტიპის კაცია. ჟურნალისტებს მისი პირიდან სიტყვების ამოგლეჯა უწევთ. ონილი ამჯერადაც კუშტი გახლდათ, თუმც მაინც ამოაღებინეს ხმა: „წინა კვირას „შტუტგარტი" გავიარეთ, მომდევნოში კი „ლივერპულთან" გვიწვევს თამაში, ხოლო 16 მარტს ლიგის თასის ფინალია „რეინჯერსთან". აქამდე არასდროს მომხდარა, რომ ორ „ოლდ ფირმს" შორის ასეთი მნიშვნელოვანი მატჩები გამართულიყო. ახლა ზუსტად ისეთ სიტუაციაში ვართ, რასაც „რეინჯერსს" ვუსურვებდი, რადგან „ლივერპულთან" მართლაც და მონუმენტალური თამაში გველის".

დავუბრუნდეთ ბევრჯერ მოშველიებულ ლოგიკას და თუ გნებავთ, ცრურწმენასაც. მოვილიოთ მაკლიში, ექვს წაუგებელ „ოლდ ფირმზე" ჭმუნვა და სამი წლის წინანდელი ამბავი გავიხსენოთ — 2000 წელს დიკ ადვოკაატის დამოძლვრილმა „რეინჯერსმა" ბოლოჯერ მოუგო „სელტიკს" გასვლაზე, როცა მატჩის 86-ე წუთზე როდ უოლესმა გამარჯვებისა შეაგდო — მაშინაც 8 მარტი გახლდათ.

**დავით თაგართქილაძე**

# შოთურ-სქოთური

*„რეინჯერსს" მატჩების წინ შეკრება ჩვევად არ აქვს, მაგრამ მაკლიშის მოთხოვნით ყოველი „ოლდ ფირმის" წინა დღეს გუნდი შეკრებაზეა. გუშინ „რეინჯერსმა" თბილისის დროით ღამის ათ საათზე ივარჯიშა და მერე სასტუმროში დაბრუნდა. შოთა არველაძესაც მაშინლა დავუკავშირდით საინტერვიუოდ*



დღევანდელ „ოლდ ფირმში" შოთა არველაძე (მარცხნივ) „რეინჯერსის" ძირითადში იქნება

**— „სელტიკის" თითოეული ფეხბურთელი 19 ათას გირვანქას მიიღებს, თუ გუნდი ჩემპიონი გახდება. რას სთავაზობს „რეინჯერსი" თავის ფეხბურთელებს ჩემპიონობისთვის?**

— ჩვენთან სხვანაირადაა საქმე. მე კონტრაქტში მიწერია ის თანხა, რაც გაჩემპიონების შემთხვევაში გადმომეცემა.

**— ამ ოლდფირმულ მატჩზე ბრიტანულ პრესაში იმაზეცაა ყურადღება გამახვილებული, რომ მაკლიშის „რეინჯერსს" „სელტიკთან" ჯერაც არ წაუგია და მაკლიშის ექვსმატჩიანი წაუგებელი ოლდ ფირმები უნდა დამთავრდეს. ყველაფერ ამას ცრურწმენად მიიჩნევ თუ ლოგიკად?**

— ცრურწმენა გინდ დაარქვი, გინდ არა, ამაში ლოგიკა არის. ეს სპორტია და არ არსებობს, რომ სულ მოიგო, მით უმეტეს, ფეხბურთში. მეხუთე წაუგებელი „ოლდ ფირმის" შემდეგაც მსგავსი ლაპარაკი იყო. ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ სასურველი შედეგი გვინდა. ეს „ოლდ ფირმი" რომ არ წავაგოთ, ერთი კვირის მერე რომ ლიგის თასის ფინალი გველის „სელტიკთან", იტყვიან, მაკლიშის შვიდმატჩიან წაუგებელ სერიას უნდა მოეღოს ბოლოო და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, თარიღები იცვლება, ტექსტი კი იგივე რჩება.

**— შენი მეუღლე და ვაჟი „ოლდ ფირმის" მატჩებს არ ესწრებიან?**

— თუ „რეინჯერსი" შინ თამაშობს, თამუნა უმეტესწილად ესწრება შეხვედრას, მაგრამ ამ „ოლდ ფირმზე" არა — ჩვენ ხომ გასვლა გვაქვს.

**— და ამიტომ სახიფათოა?**

— „რეინჯერსის" გულშემატკივრებისთვის სპეციალურად კი არის გამოყოფილი ადგილები „პარკჰედზე", მაგრამ ეს მაინც სახიფათოა და ზედმეტ ნერვიულობას ვერიდები.

**— გლაზგოში თქვენი ოჯახის გარდა ქართველობა არ არის?**

— მხოლოდ ერთ ქართულ ოჯახს ვიცნობთ, მეტს არავის.

**— „პარკჰედიც" გლაზგოა და „რეინჯერსზე" მაინც დიდ გავლენას ახდენს ის, რომ გასვლაზე თამაშობს?**

— ძალიან დიდი სხვაობაა „აიბროქსზე" ითამაშებ თუ „სელტიკის" სტადიონზე. საოცარი ატმოსფეროა „სელტიკ პარკზე", ისეთი წივილ-კივილია, თანაგუნდელები ერთმანეთს ხმას ვერ ვაგონებთ. ამ „ოლდ ფირმის" რამდენიმე ათასი „რეინჯერსის" გულშემატკივარი მაინც დაესწრება, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ალბათ მაქსიმუმ 6-8 ათასი.

**— ბილეთი რა ღირს „ოლდ ფირმზე"?**

— „აიბროქსზე" ბილეთის საშუალო ფასი 22 გირვანქაა, მაგრამ თუ „ოლდ ფირმია", 28 გირვანქამდეც აღწევს.

**— „სელტიკს" ყბამონგრეული ჰენრიკ ლარსონი რომ არ ეყოლება, ეს თქვენთვის დიდი პლუსია?**

— რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის კარგია — ლარსონი ძალიან მაგარი მეგოლეა. ისე, დანაკლისი ჩვენც გვაქვს — არტურ ნუმანი და რონალდ დე ბური ვერ ითამაშებენ.

**— სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა პიტერ ლოვენკრანდსი — ამ ფეხბურთელმა წინა სეზონში ხუთი გოლი გაიტანა და ხუთივე „სელტიკის" კარში...**

— ალექს მაკლიშმა საამმატჩო შემადგენლობა დღეს გამოაცხადა — თავდასხმაში მე და ლოვენკრანდსი ვიქნებით.

**დავით თაგართქილაძე**

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**
**XXIV ტური**

კარლსრუე 2:4 ალენი
ზანკტ პაული 2:1 ვალდჰოფი
ფრაიბურგი 1:0 მაინცი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**XXII ტური**

ლევერკუზენი (მ) 0:1 იურდინგენი
კილი 2:1 დინამო

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**XXIV ტური**

ერფურტი 0:0 ზაარბრიუკენი

### ინგლისი

**მესამე დივიზიონი**
**XXXVI ტური**

ჰარტლპული 0:0 ბერი

### იტალია

**სერია B. XXV ტური**

კალიარი 2:3 სიენა

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი**
**XXIX ტური**

კრეტეი 2:2 ტულუზი

### ბელგია

**პირველი დივიზიონი**
**XXV ტური**

სტანდარდი 1:2 ლოკერენი

### თურქეთი

**სუპერლიგა. XXIII ტური**

გაზიანთეფი 1:1 ადანა

### შვეიცარია

**A/B ჯგუფი. II ტური**

ლუგანო 1:1 კრიენსი

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**XXIII ტური**

ალკმაარი 1:0 როდა

**მეორე დივიზიონი**
**XXIII ტური**

ტელსტარი 2:1 სიტარდი
ვოლენდამი 1:0 ვეენდამი
ემენი 2:1 ჰაარლემი
იგლსი 1:2 სპარტა
ჰელმონდი 2:1 ვენლო
ჰერაკლესი 1:1 ეინდჰოვენი
დენ ჰააგი 1:0 მაასტრიხტი
კამბური 0:1 დორდრეხტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტალურგებმა ხელი ჯამარაულს დაადეს



დონეცკის „მეტალურგმა“ ქართველი ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული კაპიტნად აირჩია. გუშინ უკრაინელებმა, რომლებიც ჩემპიონატის მეორე წრისთვის ყირიმში ემზადებოდნენ, კრება გამართეს და სხვა საკითხებთან ერთად

## კაპიტნად შენ გვინდიხარო

კაპიტნის სამკლავურსაც თავისი პატრონი მიუჩინეს. ბევრი გარჩევა და კანდიდატთა დახასიათება არავის მოუთხოვია, გუნდმა სამკლავური ჯამარაულს ულაპარაკოდ ჩააბარა.

— გოჩა „მეტალურგში“ ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია, თანაგუნდელები მისგან ბევრს სწავლობენ. როგორც ფეხბურთელი, მისი ძალა ჩემზე უკეთ საქართველოში გეცოდინებათ. უფრო მთავარი კი, რა თქმა უნდა, ჯამარაულის პიროვნული თვისებებია. ის კარგი ბიჭია, გუნდში ყველასთან მეგობრობს, დიდი პატივისცემით სარგებლობს. კაპიტნის არჩევნები კი არც ყოფილა, მწვრთნელმა სევიდოვმა გუნდს გამოუცხადა, კაპიტნად ვის ისურვებდითო, ყველამ თითი ქართველი ნახევარმცველისკენ გაიშვირა — გვითხრა გუნდის პრესმდივანმა ალექსეი კლიკოვმა.

„მეტალურგი“ ყირიმიდან გუშინ საღამოს აიბარგა. დონეცკელები უკრაინის ჩემპიონატს ხვალ „ობოლონთან“ სტუმრობით იწყებენ. თავიანთი ახალი კაპიტნის და, როგორც „მეტალურგში“ ამბობენ, მთავარი დამრტყმელი ძალის, გიორგი დემეტრაძისა სხვებზე მეტად ეიმედებათ. ორივე ქართველი ჩვეულ სათამაშო ფორმას ნელ-ნელა უახლოვდება.

**ქობა ინასარიძე**



„ტორპედო-მეტალურგიდან“ ალექსანდრე რეხვიაშვილის წასვლის შემდეგ მოსკოველებს საყრდენი ნახევარმცველის პრობლემა შეექმნათ. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა იური ბელოუსმა ურეხვიაშვილობა დიდხანს არ დაატყო ტორპედოელებს და უკვე ექსზენიტელ ბორის გარავოის გუშინ სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ბელოუსმა გუშინვე თურქულ შეკრებაზე კიდევ ერთი ნახევარმცველი, ესტონელი ევგენი ნოვიკოვი იწვია. ასეთი ამბების შემდეგ მაისის თოვლივით მოულოდნელი იყო ალექსანდრე რეხვიაშვილის მოსკოველთა ბანაკში გამოჩენა. აი, სეირი — რეხვიაშვილი „ტორპედო-მეტალურგს“ დაუბრუნდა. შუამავლის როლი რევაზ ძოძუაშვილმა იკისრა. „მიხიჩამ“ ხელი ჩაჰკიდა ნაშეგირდალს და მოსკოველთა ბანაკში მიიყვანა. ქართულმა დელეგაციამ ერთი საათი ტკბილად იჭუკჭუკა „ტორპედო-მეტალურგის“ მწვრთნელ სერგეი ალეინიკოვთან და, რეხვიაშვილის თქმით, ყველაფერი მოგვარდა

# ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი, ისევ მოვედი შენთან

## რეხვიაშვილმა თქვა და გადათქვა

*— გჭირდებით?*

*— გვჭირდები!*

*— მათამაშებთ ძირითად შემადგენლობაში?*

*— გათამაშებთ!*

*— შემისრულებთ საკონტრაქტო პირობებს?*

*— შეგისრულებთ!*

ასეთია რეხვიაშვილის და ალეინიკოვს შორის გამართული საუბრის მოკლე სტენოგრამა, რომელიც ორივე მხარის პრინციპულობას საეჭვოს ხდის.

ვლადიკავკაზელები არ იყვნენ რეხვიაშვილში იმ თანხის გადამხდელი, ბელოუსმა რომ დაასახელა. 400 ათასი დოლარი მეტისმეტია ალანიელთა ჯიბისთვის. ძოძუაშვილიც ბოლომდე დაუდგა გვერდით ნაშეგირდალს და მანვე ურჩია ფეხბურთელს კომპრომისულ ვარიანტზე წასვლა. ვერ გეტყვით, რა ჯადო სიტყვებით მოხიბლა „მიხიჩამ“ ალეინიკოვი, ფაქტი კი ის არის, რომ მწვრთნელმა ძე ცთომილივით შეხედა რეხვიაშვილს. ალეკო უკვე რუსთა ბანაკშია, ძველ-ახალ გუნდთან ემზადება და ორი დღის წინანდელი განწყობის კვალიც არ ეტყობა.

რეხვიაშვილს გუშინ დავუკავშირდით ტორპედოელთა ანთალიურ სასტუმროში.

— ისევ „ტორპედო-მეტალურგში“ ვარ. ასე აჯობებს. ამ საქმეს კი მოვიგებდი, მაგრამ დიდ დროს წაიღებდა და ჩემს კარიერას საფრთხე დაემუქრებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე დაბრუნება, მით უფრო, რომ ჩემი მოსაზრება გაითვალისწინა ალეინიკოვმა.

— რა გითხრა მწვრთნელმა?

— მჭირდები, ძირითად შემადგენლობის ფეხბურთელად გთვლიო.

— საკონტრაქტო პრობლემები როგორ მოაგვარე, შენ ხომ პირობების შეუსრულებლობაში დასდე ბრალი მოსკოველებს.

— ამ მხრივაც მოგვარებულია ყველაფერი. ალეინიკოვმა სიტყვა მომცა, რასაც დაგპირდით, შეგისრულებთო. გარდა ამისა, შეიცვალა გუნდის მიზანი. თუ აქამდე ბელოუსი მერვე ადგილზე აცხადებდა პრეტენზიას, ახლა ათეულში მოხვედრა დაგეგმა. დაიხვეწა პრემიალური სისტემაც. ერთი სიტყვით, ჩემმა დემარშმა ბევრი რამ შეცვალა გუნდში და ამისთვის თანაგუნდელებიც მემადლიერებიან.

**— ესე იგი, „სპარტაკ-ალანიაში“ შენი გადასვლა გამორიცხულია?**

— არა, მოლაპარაკება ისევ მიდის, მაგრამ არა მგონია, ბელოუსმა 400 ათასს ფეხი მოუნაცვლოს, თუმც ვინ იცის, ამ ორ დღეში, შესაძლოა, ყველაფერი შეიცვალოს.

**— შენ სად გიჯობს თამაში?**

— პრინციპში „ტორპედო-მეტალურგში“ შეგუებული ვარ თანაგუნდელებთან და თუ ალეინიკოვმა მიცემული სიტყვა შეასრულა, დავრჩები.

**— იური ბელოუსს თუ ესაუბრე?**

— მასთან შეხვედრის სურვილი არა მაქვს.

**— კი მაგრამ, ასეთ ვითარებაში შენს მოსკოვურ კარიერას არცთუ კარგი პერსპექტივა უჩანს.**

— შემისრულონ პირობები და პრობლემებს არავის შევუქმნი. ალეინიკოვის იმედი მაქვს. მითხრა, არსად გაიქცე და ყველაფერი კარგად იქნებაო.

**პაატა ძმანტალიანი**

# 10, 20, 30

## ასათიანი ათოზით უმატებს

## სიომინი ქართველთან უპრეტენზიოდ მუშაობს

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ქართველ ნახევარმცველ მალხაზ ასათიანს 30-ნომრიანი მაისურა მოარგო. მოგეხსენებათ, ქუთაისის „ტორპედოში“ ასათიანი მე-20 ნომრით ირჯებოდა, რადგან რკინიგზელებს მისი განაცხადში შეყვანა მცირე პრობლემების გამო დაუგვიანდათ და ჩვენებურის საყვარელი ნომერი სხვას ერგო, ამიტომაც მან 30 ირჩია. ამას, ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობა სულაც არა აქვს. აქვე იმასაც შევახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მალხაზ ასათიანი მე-10 ნომრით თამაშობს.

რუსი ჟურნალისტები უკვე ღიად ამბობენ, დიდი შანსია, ხვალ ქვეყნის სუპერთასის მატჩში ქართველმა ნახევარმცველმა ითამაშოსო. მით უმეტეს, რკინიგზელებს რამდენიმე ფეხბურთელი გრიპის ვირუსის გამო არ ეყოლებათ.

ამაზე „ლოკომოტივის“ თავკაცმა იური სიომინმაც ორაზროვნად მიანიშნა:

— მოსკოვის ცსკა-სთან მატჩში, ცხადია, მოსაგებად ვითამაშებთ, მაგრამ ჩვენი ყურადღება უფრო ჩემპიონთა ლიგისკენაა გადატანილი. დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მძიმე ბრძოლა გველის. ასე რომ, არ გამოვრიცხოთ, არმიელებთან ექსპერიმენტები ჩავატარო და თავის გამოჩენის შანსი რამდენიმე ახალწვეულსაც მივცე. ყველაფერს მატჩის დაწყებამდე გადავწყვეტ.

რუსეთის სუპერთასმა მოსკოვში გვარიანი ინტერესი გამოიწვია. გულშემატკივრებს ბილეთების შესაძენად თადარიგი ადრიანად დაუჭერიათ, თუმც, როგორც რუსი ჟურნალისტები ირწმუნებიან, სალაროებთან რიგი ჯერაც არ შემცირებულა.

ბოლოს კი იური სიომინის აზრიც შევიტყოთ მალხაზ ასათიანის თაობაზე:

— საჭირო ფეხბურთელების შეძენა საშუასეზონო პერიოდში ვერ მოვახერხეთ. მათი ფასი ჩვენთვის მიუწვდომელი გამოდგა. თუმც მიხარია, რომ ქართველი მალხაზ ასათიანი და კოსტარიკელი უინსტონ პარკსი გადმოვიბირეთ. ვფიქრობ, ისინი ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელები არიან. მართალია, მათთან ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო, მაგრამ ამ ეტაპზე სასაყვედურო ნაღდად არ მაქვს.



მალხაზ ასათიანი

ამგვარად, დაველოდოთ ხვალინდელ დღეს და მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივურ“ დებიუტს.

**ქახა ზალამბერიძე**

# მუჯირს მუჯირი არ მოეწონა

## ყველაფერში დამნაშავე სხვა არის



**ავსტრიული** მაქსბუნდესლიგის ბოლო ტურში თანაქალაქელ „გრაცერთან“ 0:5 შერცხვენილი „შტურმი“ გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადება. დავით მუჯირის გუნდის წარუმატებელი თამაში ავსტრიაში ყველასთვის მოულოდნელი ყოფილა. მწვრთნელ ფრანკო ფოდასაც გვარიანად გაუკიცხავს შეგირდები.

„შტურმის“ თავკაცმა „გრაცერთან“ წაგების შემდეგ გუნდში შესაბამისი ზომებიც გაატარა და მომავალ ტურში „ბრეგენცთან“ მატჩის განაცხადში ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი არ შეიყვანა. მათ შორის არ აღმოჩნდა „გრაცერთან“ პირველი ტაიმის შემდეგ შეცვლილი ქართველი ნახევარმცველი.

გუშინ დავით მუჯირს ავსტრიაში დავუკავშირდით და იქაური ამბები გამოვკითხეთ:

— გრაცის დერბიში დამარცხებამ ძომაგები ძალიან გაანაწყენა, უნდა ვეცადოთ და რეაბილიტაცია მოვახერხოთ. ახლა „ბრეგენცთან“ სათამაშოდ მივემგზავრებით და, იმედი მაქვს, შინ გამარჯვებულნი დავბრუნდებით. მწვრთნელმა ძირითადის ოთხი ფეხბურთელი არ შეიყვანა თვრამეტკაციან განაცხადში. საბედნიეროდ, ჩემთვის საყვედური არ უთქვამს, თუმც 0:5 წაგებული მატჩის შემდეგ საკუთარი თავის კმაყოფილი, ცხადია, ვერ ვიქნები. ახლა მთავარია, „ბრეგენცი“ დავამარცხოთ და მეორე ადგილისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ. სხვა გზაც აღარ დაგვრჩენია.

**ქახა ზალამბერიძე**

## დავით ყიფიანის თასი

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# სინოპტიკოსების ცნობით, ხვალ ბოლნისში ნაღდად იქნება ფეხბურთი



ხვალ ავლაბარში ჯიქიელებს ვაკელების შავი კაცი, განელი ნანა ისევ შეუტევს

**ხვალ და ზეგ** სათასო მერვედფინალის საპასუხო მატჩებია. წლევანდელ გათამაშებაში ბევრი რამ არის მოულოდნელი, მერვედფინალის პირველ მატჩებს ლამაზულობა და ინტრიგა არ მოჰკლებია და რვიდან ხუთმა თამაშმაც ინტერესი შეინარჩუნა. აქამდე არ ყოფილა, რომ თექვსმეტ გუნდში ექვსი პირველლიგელი მოხვედრილიყოს, თანაც ამ ექვსიდან ორი გურიიდან გახლავთ. ოზურგეთის „მერცხალი" არა და ლანჩხუთის „გურია" მეოთხედფინალისკენაც იცქირება.

თუ საწყაული არ მოხდა, თუ რიონმა ალმა არ იწყო ლენა, „ტორპედო" მეოთხედფინალშია. ორი მატჩის ჯამში პრობლემები არ უნდა შექმნათ იყო შუშაკის „დინამოს" და ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯიას". ამათ საკუთარ მოედანზე ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს „ბათუმსა" და „მერცხალს", მართალია, მთლად ლამაძლებელი ანგარიშიც არ არის, მაგრამ სადღეისოდ ხორვატულ-იტალიური ფეხბურთი ჯაბნის გურულსაც და აჭარულსაც. ისე, ისიც აღსანიშნავია, მერვედფინალში აჭარლებსაც ორი გუნდი რომ ჰყავთ.

დანარჩენ ხუთ წყვილში კი კაცმა არ იცის, რა მოხდება, ვინ მოიპოვებს მეოთხედფინალის საგზურს. ხუთიდან ყველაზე საინტერესო მატჩი ბოლნისში „თემურ სტეფანიაზეა" მოსალოდნელი.

„სიონის" მწვრთნელ-ფეხბურთელებმა გუშინ ლამის მჯდომარე აქცია მოუწყვეს კლუბის მოამაგეს და რაიონის გამგებელს ზურაბ ჯაფარიძეს. ბოლნისურ სარბიელზე ახალაბიბინებული ბალახი ყვავის, ჯერაც არ მომაგრებულა და თბილისში „სინათლეზე" იბურთავეთო, ასეთი იყო ჯაფარიძის პირველადი ვერდიქტი. ამას რომ ამბობდა, მეხი დაგროვილიყო გამგებლის თვალებში, „სიონი" განა იმისთვის მოვალონიერე, ამდენი იმად ვიწვალეთ, „კოლხეთის" ერთი თამაში ვერ მოუგოთ ნეიტრალურ მოედანზეო?

იქნებ ბოლნისელებს ფოთელებისა სულაც არ ეშინიათ, მაგრამ ავჭალური სარბიელი „სიონისთვის" მაინცდამაინც ფეხბედნიერი ალაგი არ გახლავთ. „კოლხეთს" კი პირიქით, ხშირად იქაურობა კარგად დაუცლია. ყოველივე ჩინებულად უწყის თემურ მახარაძემ და შეგირდებთან ერთად მანამ არ მოისვენა და არც ფედერაციას მისცა საშველი, სანამ ავჭალაში დანიშნული თამაში ბოლნისში არ დაამტკიცებინა.

მახარაძემ, ჯაფარიძის რისხვა რომ მოელბო, მეტეობიუროებიც შეაწუხა და გამგებელს იქიდან ბეჭედდასმული საბუთებიც ჩაუტანა, კვირას ბოლნისში არ იწვიმებსო. „სიონის" თავკაცმა მთავარი საკითხი კი გადაწყვიტა, მაგრამ ამით პრობლემები საბოლოოდ არ ამოწურულა. კვირას ფოთელებს ყოფილი კოლხი ლევან შავგულიძე ვერ შეუტევს, მას სამი ყვითელი ბარათი დაუგროვებია. ნასიცხარია გარემარბი შალვა ისიანი, რომელიც გუშინ ძუნძულითღა შემოიფარგლა და ითამაშებს თუ ვერა, ჯერაც არავინ იცის.

ამასობაში ფოთიდან იმუქრება სოსო ფილია, რა მნიშვნელობა აქვს, თამაში სად ჩატარდება, „სიონთან" მაინც საომრად მივდივარ და დიდად იმისიც მეიმედება, რომ „კოლხეთს" მეოთხედფინალში გავიყვანო. ფილიამ ბოლნისში შეიძლება წინ წაწეული შუახაზელი ვალერი გაგუა ვერ ათამაშოს. მას გუშინ სიცხემ აუწია და არ უვარჯიშია. მოკლედ, ხვალ „თემურ სტეფანიაზე" სტუმარ-მასპინძელი ომს გვპირდება.

ვიდრე ვაკელების და ჯიქიელების ამბავს გავარჩევდეთ, კიდევ ერთი ჩახლართული წყვილის ამბავი ვთქვათ, რომლებიც ერთმანეთის მზეს სულაც არ დაიფიცებენ.

...ქიზიყი. 2000 წლის მაისის მიწურული. წნორში სადღესასწაულოდ ემზადებიან, მათი სათაყვანებელი გუნდი პირველი ლიგის გათამაშების ბოლო ტურში „გურიას" მასპინძლობს და უმაღლესში ადსაზევებლად ქულაც ჰყოფნის. სტადიონის ირგვლივ გრძელ-გრძელი სუფრებია გაშლილი, ქიზიყელებს ოთხი მოზვერი ჩამოუკიდიათ და გაუტყავებიათ, გოჭ-ქათმებს ხომ თვლა არა აქვს, მადლიანი კახურიც ჩაფებში ვერ ეტევა.

ჩავიდნენ სტუმრად გურულები, იქაურობას თვალი რომ შეავლეს, მასპინძლებს შეაპარეს, უწყინარი ფრე გავაგოროთ რახან ორივეს გვაწყობს და უმაღლესში გადასვლის სადღეგრძელოც შევირგოთო.

იუარეს ქიზიყელებმა, ასე ვთქვათ, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს და საქმეც თავში საცემად გაიხადეს. „გურიამ" არ გარისკა, შეუვალი მასპინძელი კინკილა გოლით დაამარცხა, სათავისო საქმეც გაიკეთა და ზესტაფონის „მეტალურგიც" უმაღლეს ლიგაში გადაიყოლა.

გამოხდა ხანი და თასის წინა გათამაშების მერვედფინალში გურულები და ქიზიყელები ერთმანეთს გადაეყარნენ. „გურიამ" ისევ მშრალზე დატოვა „მილანი". შინ 1:0 მოუგო, სტუმრად 2:2 გაათანაბრა და მეოთხედფინალშიც გაძვრა.

სადღეისოდ ლანჩხუთელები გაიძახიან, ღმერთი სამობითო და მერვედფინალის პირველ მატჩში მოპოვებული ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებას აპირებენ.

ახლა კი ვაკელები და ჯიქიელებიც გავიხსენოთ, ხვალ ავლაბარში რომ შეიყრებიან. ერთბურთიანი უპირატესობა ცაკარიასის „ლოკომოტივს" დამშვიდების უფლებას არ აძლევს. მართალია, რკინიგზელთა კაპიტანი გიორგი ბალაშვილი მწყობრშია, მაგრამ „მერანი-ოლიმპი" უკანდახევას არ აპირებს. მით უფრო, რომ ქორქიკაშვილს გამოჯანმრთელებული დავითაშვილის ეიმედება, რომელიც ყოფილ კლუბს გოლით ემუქრება. პირველ მატჩში მომხდარი ინციდენტიც არ დავივიწყოთ, როცა ოთარ გაბელია და გივი კვარაცხელია ერთმანეთს წაეკიდნენ და დავასკვნათ, ხვალ ავლაბარში დედა შვილს დაემალება.

**მამუკა ძვანტალიანი**

ბათუმი. დინამო. 9 მარტი. 15.00 საათი

**ბათუმი — დინამო (0:2)**

თბილისი. იხანი. 9 მარტი. 15.00 საათი

**მერანი-ოლიმპი — ლოკომოტივი (0:1)**

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 9 მარტი. 15.00 საათი

**მერცხალი — ვიტ ჯორჯია (0:2)**

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 9 მარტი. 15.00 საათი

**სიონი — კოლხეთი (0:0)**

გორი. ცენტრალური. 9 მარტი. 15.00 საათი

**დილა — ქობულეთი (0:0)**

გურჯაანი. დავით ყიფიანი. 9 მარტი. 15.00 საათი

**მილანი — გურია (0:1)**

თერჯოლა. ცენტრალური. 10 მარტი. 15.00 საათი

**ტორპედო — ქაბუკთა ნაკრები (4:0)**

თბილისი. ლოკომოტივი. 10 მარტი. 15.00 საათი

**სპარტაკი — დინამო 2 (1:0)**

# ლატვიამ კორღალიძეს ბულგარეთიდან შეუტია

**2-6 მაისს** იტალია ევროპის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ეტაპს უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ოთარ კორღალიძის შეგირდებს იტალიელ, ლატვიელ და ჩრდილოირლანდიელ თანატოლებთან მოუწევთ ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლა.

ქართველ ცხრამეტწლამდელთა მზადებაზე „სარბიელი" სისტემატურად გაწვდიდათ ინფორმაციას, ახლა კი ორიოდ სიტყვა ჩვენს მეტოქეზე, ლატვიის ცხრამეტწლამდელთა ნაკრებზეც ვთქვათ.

ქართველთაგან განსხვავებით, ბალტიისპირელებმა უკვე ერთი უცხოური შეკრება გაახერხეს. იანის დრეიმანისის შეგირდები ბულგარეთის კურორტ ვარნაში ემზადებიან. შავიზღვისპირეთში ლატვიელები ოთხთა ტურნირშიც მონაწილეობენ და კარგი შედეგებითაც დაიკვეხნიან.



ოთარ კორღალიძე

ლატვიელმა ცხრამეტწლამდელებმა უკვე ტურნირის ორი მატჩი ითამაშეს. პირველად მათი მეტოქე ბულგარეთი იყო. თამაში ბალტიისპირელთა სრული უპირატესობით წარიმართა და 59-ე წუთზე ვოლკოვმა თავისიანები დააწინაურა კიდეც. თუმც მასპინძლები მატჩის მიწურულს გამოფხიზლდნენ და 83-ე და 86-ე წუთებზე ორი გოლი გაუტანეს მეტოქეს. საბოლოოდ შეხვედრა ასეც დასრულდა.

ორი დღის შემდეგ ლატვიელთა მეტოქე საკმაოდ ძლიერი რუსეთის ცხრამეტწლამდელთა ნაკრები იყო. ეს მატჩი ძალიან საინტერესო და უხვგოლიანი გამოდგა. რუსებმა პირველივე ტაიმში გადაუურბინეს იანის დრეიმანისის გაწვრთნილებს და შესვენებამდე სამი უპასუხო ბურთიც გაუტანეს.

ამის შემდეგ ვინ წარმოიდგენდა, რომ ლატვიელები მატჩში გარდატეხის შეტანას შეძლებდნენ. ყველას გასაოცრად, ჩვენმა სამაისო მეტოქემ აღმაფრენით ჩაატარა მეორე 45 წუთი და რუსები ხუთჯერ დაამწუხრა — მედეცკიმ 48-ე წუთზე შემცირა სხვაობა, რასაც აბრამენკომ 55-ე და 75-ე წუთებზე კიდევ ორი გოლი მიაყოლა. მანამდე კი ბლანკსმა 65-ეზე გამთანაბრებელი შეაგდო. რუსთა წვალება სტარკოვმა დაასრულა 88-ე წუთზე.

გაოგნებულმა რუსებმა ლატვიურ გოლთა კოკისპირულს მეორე ტაიმში მხოლოდ კინკილათი უპასუხეს და 4:5 წააგეს.

ეტყობა, რომ ლატვიის ცხრამეტწლამდელთა ნაკრები ძალიან ბრძოლისუნარიანი და შემტევი გუნდია. ასე რომ, ქართველებს გვარიანი ბრძოლები მოუწევთ. ბალტიისპირელთა გარდა ხომ ჩვენს ჯგუფში მუდამ ფავორიტი იტალია და ჩვენთვის საერთოდ უცნობი ჩრდილოეთ ირლანდია არიან.

აქვე იანის დრეიმანისის რჩეულ 20 ფეხბურთელს გაგაცნობთ: *აბრამენკო, ბლანსკი, ბოგდანოვი, ბრუდერსი, დზელზიტისი, გალიაში, გოლუბევი, იავოიში, ემელინი, მედიცკი, ე.სემენოვი, ს.სტარკოვი, ტრიფონოვი, უსოვი, ვალიუშკინი, ვოლკოვი, ჩერიკოვი, შანიცინი, ჟიგაევი, ჟურავლევი.*

**ძახა შალამბერიძე**

# ყიფიანი თბილისშია, ქოქიაშვილი მოსკოვში



დავით ქოქიაშვილი



გიორგი ყიფიანი

**ევროსაგზურისთვის** მებრძოლმა თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ" წრეებს შორის თურქული შეკრება ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე გაიარა — გიორგი ყიფიანი ლატვიურ „სკონტოში" იყო მიწვეული გასინჯვაზე, დავით ქოქიაშვილმა კი ჯერ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშა მოლდოველთა წინააღმდეგ, ახლა კი ყოფილ კლუბს, მოსკოვის „სპარტაკს" მიაშურა.

სადღეისოდ გიორგი ყიფიანი უკვე ჯანი კარნევალის განკარგულებაშია და ვეტერინარებთან ერთად ვარჯიშობს. დიდი შანსია, გიორგი სეზონის ბოლომდე სწორედ „ვიტ ჯორჯიას" დაეხმაროს.

სხვაგვარადაა დავით ქოქიაშვილის საქმე. მართალია, მას ვეტერინარებთან კონტრაქტი 2005 წლამდე აკავშირებს, თუმც ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში მოსკოვის „სპარტაკის" ინტერესებიცაა გათვალისწინებული.

— ქოქიაშვილის საკითხი დაახლოებით ათ დღეში გადაწყდება. მას კონტრაქტი ჩვენთან კი აქვს, მაგრამ თუ საბოლოოდ მისი „ვიტ ჯორჯიაში" დატოვება გადავწყვიტეთ, მოსკოველებისთვის გარკვეული თანხა გვექნება გადასახდელი. თანაც „სპარტაკს" მისი დაბრუნება სურს. ასე რომ, რამდენიმე დღეც დაველოდოთ და მერე ყველაფერს გეტყვით — გვითხრა გუშინ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

**ძახა შალამბერიძე**



# იუვენტუსი მღერის, მონტელა წუწუნებს, რედონდო იგონებს





**ფელიჩიტა!** სან რემოში ორმოცდამეცამეტე ფესტივალი დაიწყო და ჩვენც, ჩვენს წერილს ამით დავიწყებთ. თუმცა, ისეთი არაფერი, უბრალოდ, „არისტონ თეატრში", დიდ სცენაზე სამღერად... „იუვენტუსი" გავიდა სცენის უკან, ეკრანზე კლიპი ჩაირთო, ხოლო ფეხბურთელებთან „გალსინის საავადმყოფოს" ბავშვები დადგნენ.

ამ შუა სეზონში „ბებერ ქალბატონს" რა ამღერებსო, იკითხავთ თქვენ. მოგახსენებათ, ეს საქველმოქმედო ღონისძიებაა — „იუვენტუსი" გენუის „გალსინის ბავშვთა საავადმყოფოსთვის" ფულს აგროვებს.

კეთილი და პატიოსანი, იტალიის ნაკრების მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის კი, ჯერ ერთი, მძიმე სამუშაოს გამო არ ემღერება და მეორეც იმიტომ, რომ „რომას" თავდამსხმელმა, ვინჩენცო მონტელამ მის წინააღმდეგ გაილაშქრა. მონტელამ თქვა, თუ „სკუადრა აძურაში" კიდევ არ გამომიძახებენ, ნაკრებზე საერთოდ უარს ვიტყვი და როცა დავჭირდებით, არც მაშინ ჩავალო.

სამ კვირაში „სკუადრა აძურა" თურქეთს უნდა ესპარინგოს, რათა ერთ თვეში ფინეთს შეხვდეს ოფიციალურ შეხვედრაში.

„ვფიქრე, რომ ნაკრებში ალარასოდეს ვითამაშებ — თქვა რომაელმა — ბოლო ორი წლის მანძილზე ნაკრები კარგად გამოდიოდა, ამასწინათ კი ფილიპო ინძაგის ტრავმის გამო ტაქტიკა შეცვალეთ დ ყველაფერი ცუდად წავიდა. აი, ეს ვერ გამიგია, ხომ გვყავს ისეთი ფეხბურთელი, როგორიც ალესანდრო დელ პიეროა? ჯანდაბას, ყველა პირველხარისხოვანი მოთამაშეც რომ გამოგვეცალოს ხელიდან, განა ალტერნატივა არ არის?"

შეგახსენებთ, რომ მონტელა სერია A-ში გატანილი გოლებით მხოლოდ ზემოხსენებულ ინძაგის ჩამორჩება, მაგრამ ამის მიუხედავად, ნაკრებში სულ 18 მატჩი (3 გოლი) აქვს ჩატარებული.

აქვე თქვენს ყურადღებას ერთ გარემოებას მივაპყრობთ: მონტელამ თავი ინძაგისა და დელ პიეროს კონტექსტში მოიხსენია, კრისტიან ვიერიზე კი არაფერი უთქვამს. ვიერი იტალიაში ულაპარაკოდ პირველია.

ამასობაში კი მონტელას გუნდის, „რომას" დღევანდელი მეტოქე და მარადი მოწინააღმდეგე, რომისავე „ლაციო" შესაძლოა მილიონერის, მატეო კორსინის საკუთრება გახდეს. საქმე ის არის, რომ კორსინი პროდუქტების კომპანიის „ჩირიოს" შეძენას აპირებს, „ლაციო" კი „ჩირიოსია" და ზედწონად მიჰყვება. თუ ასე მოხდა, სინიორ მილიონერი, ალბათ გუნდს ახალ სტადიონს აუგებს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველა მაღაზიას თუ გასართობ ცენტრს დაეუფლება. კორსინი ამბობს, რომ ამ სავარაუდო პროექტში მისი მეწყვილე იქნება მეორე მაგნატი რობერტო კოლანიო, რომელიც არანაკლებ ცნობილი კორპორაციის, „ოლივეტის" პატრონია და 1999 წელს „ტელეკომ იტალიაც" შეისყიდა.

ახლა კი მილიონერებიდან „მილანის" არგენტინელ მოთამაშეზე, ფერნანდო რედონდოზე გადავიდეთ და გავიხსენოთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში „შავ-წითლები" მადრიდში, რედონდოს ყოფილ გუნდთან, „რეალთან" სათამაშოდ მიდიან. კიდევ, გავიხსენოთ, რომ ამ შეჯიბრის მეორე ჯგუფურ ეტაპზე, „მილანს" თავი ქუდში აქვს, „რეალს" კი მოგება სჭირდება.

„მილანისთვის მადრიდში მოგება მნიშვნელოვანია — ამბობს რედონდო — ჩვენ ხომ ჩემპიონთა თასის მოგება გვინდა და „რეალის" გზიდან მოცილება კარგი იქნებოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, „მილანს" „რეალის" შეჯიბრებიდან გამოთიშვა არ სურს, რადგან თასის მოგების გემო უძლიერესებთან ბრძოლაში აქვს".

შემდეგ: „მე ყოველთვის მადრიდისტი დავრჩები, აქ არაფერი შეცვლილა. „რეალში" ჩემი კარიერის საუკეთესო წლებმა გაიარა, იქ მეგობრები მყავს და იქაურობასთან ძლიერი გრძნობა მაკავშირებს. რაც შეეხება „მილანის" და „რეალის" დაპირისპირებას, იმედი მაქვს, რომ ძირითად შემადგენლობაში შემიყვანენ და მოედანზე ძველი თანაგუნდელების წინააღმდეგ გასვლით გავხალისდები. მინდა ეს შეხვედრა ფინალის რეპეტიცია გამოდგეს".

და აი, დღეს, „მილანის" ოფიციალურ პრესრელიზში წერია: „ფერნანდო რედონდომ კლუბთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. კონტრაქტის ხანგრძლივობის ვადაა 2004 წლის 3 ივნისი."

**პაატა ძიდია**

## ჩემპიონთა ლიგა 2003-2004 კალენდარი

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**
16-23 ივლისი, 2003

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**
30 ივლისი – 6 აგვისტო

**III საკვალიფიკაციო ეტაპი**
12-13 აგვისტო –
26-27 აგვისტო

**ჯგუფური ეტაპი**
I ტური: 16-17 სექტემბერი
II ტური: 30 სექტემბერი – 1 ოქტომბერი
III ტური: 21-22 ოქტომბერი
IV ტური: 4-5 ნოემბერი
V ტური: 25-26 ნოემბერი
VI ტური: 9-10 დეკემბერი

**მერვედფინალი**
24-25 თებერვალი –
9-10 მარტი, 2004

**მეოთხედფინალი**
23-24 მარტი – 6-7 აპრილი

**ნახევარფინალი**
20-21 აპრილი – 4-5 მაისი

**ფინალი**
26 მაისი, 2004

# გაფუჭებული ტელეფონი

## ყმაწვილი დიეგო შოტლანდიის აზრზე არაა

**სქოთთა** პირველი დივიზიონის „კლაიდს" დიეგო არმანდო მარადონას 16 წლის ვაჟი დიეგო რომ თავისთვის უნდა, გუშინდელ „სარბიელში" წაიკითხავდით. ახლა კი შოტლანდიური პრემიერლიგის სამი გუნდი ჩაერთო რბოლაში — „დანფერმლაინი", „კილმარნოკი" და ჩვენებურთა „დანდი".

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად უმცროს დიეგოს სურს შოტლანდიაში თამაში — მისი კლუბი „ნაპოლიც" მზადაა, მარადონას ძე იჯარით გაასხვისოს სქოთთა ქვეყანაში.

ჰოდა, „დანფერმლაინის" მენეჯერი ჯიმი კალდერვუდი ტელეფონით ესაუბრა ნეაპოლელებს და თვით ყმაწვილ დიეგოსაც.

„მე ვკითხე მას, რატომ უნდა მაინცდამაინც შოტლანდიაში თამაში. ნეაპოლიდან მითხრეს, გვჯერა, რომ შოტლანდიაში დიეგო უფრო მშვიდ ატმოსფეროში იქნება, ვიდრე იტალიაში. ყველაფერი ეს მაფიქრებინებს, რომ ამ ყმაწვილმა არ იცის, თუ რა არის ფეხბურთის თამაში შოტლანდიაში. მან მკითხა, გვინდა თუ არა ჩვენ მისი შემადგენლობაში შეყვანა და დადებითი პასუხი მიიღო. მაგრამ ეს მის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული და იმაზეც, გაანათხოვრებს თუ არა მას „ნეაპოლი" სამი ან ექვსი თვით. თუ ყველაფერი ასე მოხდა, ამ საქმით საფუძვლიანად დავინტერესდებით" — განმარტავს კალდერვუდი.

**დავით თავართქილაძე**




# რომა რომ არა

*უეფას თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩი „ბეშიქთაშსა" და „ლაციოს" შორის 13 მარტს სტამბოლში უნდა გამართულიყო, საპასუხო კი რომში 20 მარტს. უეფამ კალენდარს გადახედა და აღმოაჩინა, რომ 19 მარტს ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში „რომა" „აიაქსს" მასპინძლობს. 19-სა და 20-ს შორის სულ ერთი ღამეა. რომაელთა თქმით, „რომა" — „აიაქსის" თამაშის შემდეგ მინდვრის მომზადება მეორე დღისთვის ვერ მოესწრება, ამიტომ „ლაციო" „ბეშიქთაშს" 13 მარტს „სტადიო ოლიმპიკოზე" დაუხვდება, 20-ში კი სტამბოლს ეწვევა.*

## უეფას თასი 2002-2003

### 1/4 ფინალის განახლებული წილისყრა

ლაციო (იტალია) – ბეშიქთაში (თურქეთი)
სელტიკი (შოტლანდია) – ლივერპული (ინგლისი)
მალაგა (ესპანეთი) – ბოავიშტა (პორტუგალია)
პორტუ (პორტუგალია) – პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

*I მატჩები გაიმართება 13 მარტს,*
*საპასუხოები – 20 მარტს*

Zeus COMPANY
Billjardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების



saluc
Master
კონსულტაციები, გარანტია
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, ... ქ. №2

# იტალია

პაპუნა კედია



რომაელი მარკო დელვეკიო (მარცხნივ) დღევანდელ დერბის გამოტოვებს

## ჩეხი რომ არ დაჩეხონ

**რომაული დერბის** შესახებ ყველანაირად გვითქვამს, ათასჯერ დაგვიხასიათებია გუნდები, მათი ქომაგების ამბიციები, ისტორია... მოგვიყოლია, რომ „რომა“ პრეტენზიული დედაქალაქელების საყვარელი გუნდია, ისინი დღემდე ძველი რომის ლოზუნგებით გამოდიან და ფიქრობენ, რომ ყველა გზა ახლაც მათთან მიდის. „ლაციოს“ სიყვარული კი უფრო გარეუბნებში ჩაისახა, მართალია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს დროში, რომის ცენტრში „ლაციოს“ ერთი გულშემატკივარიც არ ცხოვრობს, მაგრამ... ასეა თუ ისე, „რომას“ ტიფოზები ლაციოელებს ძველებურად დასცინიან, ეგენი ფეხბურთის ღლეებში ძალიან ადრე იღვიძებენ, ჯერ საქონლის დაპურება რომ მოასწრონ და მერე ქალაქამდე ჩამოღწევაო.

ამ სეზონში „დერბი“ უკვე ორჯერ გაიმართა. ერთხელ სერია A-ში, მეორედ იტალიის თასზე. პირველი 2:2 დასრულდა, მეორე 2:1 „რომას“ სასარგებლოდ.

„რომამ“, მოგეხსენებათ, წინა ტურში „ემპოლის“ მოუგო 3:1, მაგრამ ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი კაპიტანმა, ფრანჩესკო ტოტიმ დაიდო, რომელსაც ბოლოხანს ბედი არ სწყალობს, ტრავმები მიეძალა. აი, ახლაც, ამჯერად ტოტის გრიპი შეეყარა და დერბიში მისი მონაწილეობა ფრიად საეჭვო გახლავთ. დაშავებულნი არიან მარკო დელვეკიო და ტრაიანოს დელასიც, ხოლო ანტონიო კასანო დისკვალიფიცირებული გახლავთ. დისკვალიფიკაცია მოიხადა ჯონათან ძებინამ, თუმცა არის კიდევ ერთი ხელისშემშლელი მომენტი: რამდენიმე დღეში „რომას“ ჩემპიონთა ლიგაში, „არსენალთან“ უწევს მნიშვნელოვანი დაპირისპირება და ამან, შეუძლებელია ფსიქოლოგიურად არ იმოქმედოს.

„ლაციო“ ძველებურად მეკარის, ანჯელო პერუცის გარეშეა. დეიან სტანკოვიჩი და სინიშა მიხაილოვიჩი კუნთების ტრავმებს იშუშებენ, ხოლო კლაუდიო ლოპესისა და ბერნარდო კორადის წყვილი, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში 23 მატჩში 32 გოლი შეაგდო, ბუნებრივია, მორიგი წარმატების მოლოდინშია.

ამ ტურში საინტერესო მატჩი გაიმართება „სან სიროზეც“, სადაც „მილანი“ „კიევოს“ უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში, ვერონაში, „კიევომ“ მოიგო 3:2, თუმცა შემდეგ, იტალიის თასზე უკვე „მილანმა“ იმძლავრა 5:2.

წინა ტურში „შავ-წითლებმა“ „ატალანტასთან“ თან ორი ქულა დაკარგეს, თან იყოჩაღეს — 0:3-ს აგებდნენ და 3:3 დაასრულეს შეხვედრა.

„კიევოსთან“ თამაშის წინ ანდრეი შევჩენკო კიდევ არ არის ასი პროცენტით მზად. დაშავებულნი არიან მასიმო ამბროზინი და კახა კალაძე, ისინი სავარაუდო შემადგენლობაში არ არიან შეყვანილნი. არ არის გამორიცხული, კარლო ანჩელოტიმ ოდნავ განსხვავებულ განლაგებას მიმართოს, კერძოდ, რივალდო ნამდვილ ნახევარმცველად მოგვევლინოს, წინ ფილიპო ინძაგი და იონ დალ ტომასონი ვიხილოთ, ხოლო ნახევარდაცვის წინ და თავდასხმის უკან რუი კოშტამ იმოქმედოს.

„კიევო“, რომ არ გავარდება, ცხრილს ჩავხედოთ და მივხვდებით. ეს უკვე არითმეტიკული ფაქტია, მაგრამ „მფრინავი ვირები“ ამით არ კმაყოფილდებიან და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ფიქრობენ.

„სან სიროზე“ ვირებს წინ ფედერიკო კოსატო და საშა ბიელანოვიჩი ეყოლებათ, სერჯო პელისიერი კი მოედნის სიღრმიდან იმოქმედებს. საეჭვოა ლუსიანოსა და ლორენცო დანას თამაში.

ჩემპიონი და ლიდერი „იუვენტუსი“ კი უდინეში ჩადის. ცნობისთვის: „სტადიო ფრიულიზე“ ამ სეზონში სტუმარს არ მოუგია.

მოგეხსენებათ, „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში ბოლო დროს საუცხოოდ თამაშობს ჩეხი ნახევარმცველი პაველ ნედვედი. მოგეხსენებათ ისიც, რომ რამდენიმე დღეში „იუვე“ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩში „დეპორტივო ლაკორუნიას“ მასპინძლობს. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ უდინეში ნედვედი შესაძლოა დაასვენონ.

„უდინეზემ“ კი ამ სეზონში უკვე დაამარცხა „ინტერი“, „მილანი“, „რომა“ და „კიევო“...

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| რომა | - | ლაციო |
| ბოლონია | - | ინტერი |
| ხვალ | | |
| კომო | - | ბრეშა |
| მილანი | - | კიევო |
| უდინეზე | - | იუვენტუსი |
| ატალანტა | - | პარმა |
| მოდენა | - | პერუჯა |
| ემპოლი | - | პიაჩენცა |
| ტორინო | - | რეჯინა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 23 | 15 | 6 | 2 | 44:16 | 51 |
| ინტერი | 23 | 15 | 3 | 5 | 45:26 | 48 |
| მილანი | 23 | 14 | 5 | 4 | 44:19 | 47 |
| ლაციო | 23 | 10 | 11 | 2 | 39:23 | 41 |
| კიევო | 23 | 12 | 4 | 7 | 34:23 | 40 |
| უდინეზე | 23 | 10 | 6 | 7 | 25:24 | 36 |
| პარმა | 23 | 9 | 8 | 6 | 39:28 | 35 |
| ბოლონია | 23 | 8 | 8 | 7 | 27:25 | 32 |
| რომა | 23 | 8 | 7 | 8 | 36:32 | 31 |
| პერუჯა | 23 | 8 | 6 | 9 | 29:31 | 30 |
| ბრეშა | 23 | 6 | 10 | 7 | 26:29 | 28 |
| მოდენა | 23 | 7 | 5 | 11 | 17:31 | 26 |
| რეჯინა | 23 | 7 | 4 | 12 | 26:41 | 25 |
| ემპოლი | 23 | 6 | 6 | 11 | 26:34 | 24 |
| ატალანტა | 23 | 5 | 9 | 9 | 26:35 | 24 |
| პიაჩენცა | 23 | 4 | 4 | 15 | 20:39 | 16 |
| კომო | 23 | 2 | 9 | 12 | 16:36 | 15 |
| ტორინო | 23 | 2 | 7 | 14 | 15:42 | 13 |

ინგლისი. ასოციაციის თასის მეოთხედფინალი. დღეს

# არსენალი vs ჩელსი



ასოციაციის თასის შარშანდელ ფინალში „არსენალმა“ „ჩელსი“ 2:0 დაამარცხა, ერთი გოლი ფრედერიკ ლიუნგბერგისა იყო

## რა დრო გასულა

### ჩელსის ბოლო გამარჯვება ჩელსელებს არც ახსოვთ

დღეს და ხვალ ინგლისში თასის მეოთხედფინალებია, ამათგან გამორჩეული კი „არსენალისა“ და „ჩელსის“ ბრძოლაა. სხვა რომ არაფერი, შარშანდელ ფინალში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს.

ამ ორი ლონდონური გუნდის დაპირისპირებათა ისტორია 151 მატჩისგან შედგება, რომელთაგან სათასო თხუთმეტია. „არსენალი“ სჯობნის „ჩელსის“ — ექვსი მოგება ოთხი მარცხის წინააღმდეგ. ამასთანავე, „არისტოკრატებმა“ „მეთოფენი“ ბოლოს 1947 წლის 20 იანვარს დასცეს ტომი ლაუტინის წყვილი გოლით, მას მერე კი მუდამ „არსენალი“ გადიოდა თასის მომდევნო ეტაპზე. შარშანდელ ფინალში კი „მეთოფეებმა“ ფრედი ლიუნგბერგისა და რეი პარლოუს გოლებით დაამარცხეს მეტოქე.

სადღეისოდ კი ვითარება ამგვარი გახლავთ: „არსენალს“ ეგებ დაბრუნებოდა ჰოლანდიელი დენის ბერხკამპი, რომელსაც ტრავმა თითქოს მოუშუშებინა. მენეჯერმა არსენ ვენგერმა ბერხკამპის თაობაზე განაცხადა: „ხუთშაბათს მის ვარჯიშს დავაკვირდი და მომეწონა. თუ შაბათამდე აღარაფერმა შეაწუხა, მოედანზეც გავა“. მაგრამ ვაი, რომ ჰოლანდიელი ტრავმამ ისევ შეაწუხა და ჩემპიონთა ლიგისთვის თუ დაბრუნდება.

დასტურ ცნობილია, რომ ვერ ითამაშებენ ეშლი კოული და ოლეგ ლუჟნიც, რაც ერთგვარ პრობლემას შეუქმნის მასპინძელთა დაცვას.

ეშლი კოული საზარდულის ოპერაციის შემდეგ ექვს კვირას დაისვენებს, უკრაინელ ლუჟნის კი 29 იანვრის მერე არ უთამაშია, როცა „ლივერპულთან“ მატჩისას დაშავდა.

მეორე ბანაკში საქმე ტრავმების მოშუშებისკენ მიდის. მარსელ დესაი, გრემ ლე სო, ემანუელ პეტი და ედ დე გუი უკვე შეუდგნენ ვარჯიშს და „ჰაიბერიზე“ ვინძლო ოთხივემ ითამაშოს.

**ირაკლი ნინიძე**

# ბერნშტეინის სია

„ულრმესი მადლობა. თქვენ იმაზე მეტი გააკეთეთ, ვიდრე შესაძლებელი იყო“ — წერს ეისა გრონლუნგდი ლონდონიდან; „გაწბილებული ვარ. ამას კიგანის წასვლა სჯობდა“ — წუხს ოლდემელი როს ელიოტი; „ეს ჩვენი გუნდისთვის მეტად ცუდი დღეა. ამის შედეგებს მომავალში მოვიმკით“ — ასე ჰგონია მავან ტონის მანჩესტერიდან.

სხვადასხვა ალაგას მცხოვრებ ამ სამ ადამიანს „მანჩესტერ სიტის“ სიყვარული აერთიანებს. ისინი, სხვა ათეულ ათასების მსგავსად, ასე გამოეხმაურნენ კლუბის თავმჯდომარის დევიდ ბერნშტეინის გადადგომას — გუშინწინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ ოთხშაბათს მისტერ ბერნშტეინმა ყოველგვარი მიზეზების ახსნის გარეშე აუწყა საზოგადოებას კლუბიდან თავისი წასვლის შესახებ. იქვე ვივარაუდეთ, ამ გადაწყვეტილების შესაძლო მიზეზი ალბათ აქციონერებთან მისი უთანხმოება არისო.

ირკვევა, რომ მართლაც ასეა: ყველამ, კიგანიდან დაწყებული და უბრალო ფანით დამთავრებული, შეიცხადა თავმჯდომარის წასვლა, აი, კლუბის აქციების უმსხვილესმა მფლობელმა ჯონ უორდლიმ (ფირმა JD SPORTS-ის დამაარსებელი) კი გუშინ... კრის ბერდის დაბრუნება ისურვა — ბერდი ბერნშტეინამდე ერთი კვირით ადრე, 27 თებერვალს გადადგა მმართველი დირექტორის თანამდებობიდან.

ასე დაწვრილებით ამ ამბავს იმიტომ ალვწერთ, რომ ჩვენც კარგად გვახსოვს, რას წარმოადგენდა „მანჩესტერ სიტი“ 1998 წელს, როცა ბერნშტეინმა ყოფილი თავმჯდომარე, „სიტიში“ გიორგი ქინქლაძის გადამყვანი ფრენსის ლი შეცვალა. მაშინ გუნდი მეორე დივიზიონში ფაფხურობდა, ახლა კი პრემიერლიგის მე-11 საფეხურზეა მოკალათებული. ხედავთ განსხვავებას?

ცხადია, ამის მიღწევა უფულოდ, უფრო სწორად, უდიდფულოდ შეუძლებელია. ბერნშტეინის პოლიტიკაც ასეთი იყო — მწვრთნელთა მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება: მარტო ბოლო ორ წელიწადში და მარტო ფეხბურთელების შესაძენად კევინ კიგანს 48,2 მილიონი გირვანქა გამოუყვეს. ამაზე მეტი ამ ხნის განმავლობაში ოდენ მეზობელმა მწვრთნელმა, სერ ალექს ფერგიუსონმა დახარჯა.

კიგანი რომ ერთ-ერთი ყველაზე „მფლანგველი“ მწვრთნელი იყო, ბერნშტეინმა კარგად იცოდა — თუ „ნიუკასლში“, „ფულემში“ და „სიტიში“ მუშაობის წლებს შევაჯამებთ, კიგანს 110 მილიონი აქვს სასურველი მოთამაშეების შეძენაში დახარჯული — მაგრამ სხვაგვარად „სიტის“ ჭაობიდან ამოთრევაც რომ შეუძლებელი იყო? საგულისხმოა, რომ „მიკი მაუსს“ (კიგანის მეტსახელია) ბერნშტეინმა წელიწადში მილიონი გირვანქა დაუწესა ხელფასად, თავად კი... 63 ათასი იკმარა. დიახ, წელიწადში და არა კვირაში.



დევიდ ბერნშტეინი

კიგანის ახალწვეულთაგანაც, როგორც ხდება ხოლმე, ზოგმა ვერ გაამართლა და აქციონერებმა ესეც ბრალად ბერნშტეინს წაუყენეს. აბა, რა იცოდა თავმჯდომარემ, რომ 5 მილიონად ნაყიდი ჯონ მაკინი ეგრევე მძიმე ტრავმას მიიღებდა (11 თვეა არ უთამაშია)? ანდა 3,8 მილიონიან ვისენტე მატიას ვუოსოზე როგორ იტყოდა უარს, როცა კიგანმა ეს არგენტინელი ფორვარდი ლამის მესიად შერაცხა (ჯერჯერობით ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია)? ეს ძვირი შენაძენებია, თორემ ორმილიონიანებს ვინლა ჩივის. ერთადერთი, 13,5 მილიონად ნაყიდმა ნიკოლას ანელკამ გაამართლა: ბოლო ზაფხულის მსოფლიოს ნომერ მეორე უძვირესი ტრანსფერის გმირი ახლა 12 გოლით „სიტის“ ბომბარდირების სიას ლიდერობს, თუმცა მოდავება აქაც შეიძლება — 400 ათასად ღირებულ შონ გოტერს ანელკაზე ოდენ 5 ბურთით ნაკლები აქვს შეგდებული.ჯერჯერობით უგოლოდაა 30 იანვარს 6 მილიონად ნაყიდი რობი ფაულერი...

და ბერნშტეინი წავიდა.

კვირას „სიტის“ ფანობა საპროტესტო აქციას აწყობს. ვნახოთ, რა გამოვა.

**გიგა კობახიძე**

# გერმანია

დავით თავართქილაძე

# დებიუტანტები

## მაგათმა ჩემპიონობა ორი წლით გადადო





ევალდ ლინენს და იურგენ რიობერს დღეს დებიუტი აქვთ

**სამი დღის** წინ „ბაიერნი“ და „ლევერკუზენი“ თასზე გადაეყარნენ ერთმანეთს, დღეს კი ერთმანეთს ბუნდესლიგაში შეხვდებიან. როგორ შეხვდება ბავარიული პუბლიკა ცოლის მოღალატე ოლივერ კანს? ამ მატჩის მთავარი ინტრიგა ეს არის. თუმც ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „ლევერკუზენი“ გავარდნის კანდიდატია და შმაგი ბრძოლა მართებს.

„ვოლფსბურგის“ დამრიგებლის პოსტზე დებიუტი აქვს იურგენ რიობერს, რომელმაც ვოლფგანგ ვოლფი შეცვალა. რიობერს მაჩანჩალა „კოტბუსთან“ უწევს გაჯიბრება, მაგრამ ედუარდ გაიერის „ენერგი“ ძალიან კაპასი გუნდია და ვინძლო რიობერს დებიუტი ჩაუშხამოს. კოტბუსელებმა ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია წინა უქმეებზე შეწყვიტეს „ბაიერნთან“ მარცხით. „ენერგი“ სადღეისოდ ბოსნიელ შემტევ მარკო ტოპიჩს მოისაკლისებს, ვინც დისკვალიფიცირებულია.

დებიუტი ელის ევალდ ლინენსაც — მან ჰანს მაიერი შეცვალა „მიონხენგლადბახის“ მესაჭედ. მაიერს „გლადბახის“ პირველი გუნდიდან გაგდებული ჰყავდა ნახევარმცველი მარკუს მიუნხი და შემტევი მარსელ ვიტეჩეკი. როგორც გერმანელი მიმომხილველები ვარაუდობენ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ლინენმა ისინი საუკეთესოებში დააბრუნოს, თუმც ვნახოთ.

„გლადბახის“ მეტოქე კი მისი დორტმუნდელი სეხნიაა — ორი „ბორუსია“ სხვადასხვა ამბიციებით. დორტმუნდელებს კვლავაც არ ეყოლებათ ჩეხი პლეიმეიკერი ტომაშ როსიცკი — ის დაჭიმულ კუნთს იშუშებს.

კაი ჯახი უნდა გამოვიდეს შტუტგარტში. ფელიქს მაგათმა ამას წინათ თქვა, ბუნდესლიგის მოსაგებად მზად 2005 წლისთვის ვიქნებითო, მომდევნო სეზონში კი აუცილებლად უნდა დავაჭაშნიკოთ ჩემპიონთა ლიგაო. საამისოდ „შტუტგარტმა“ მინიმუმ მესამე ადგილი უნდა შეინარჩუნოს. დღეს კი მაგათელები გუნდის პირველ მეკარე ტიმო ჰილდერბრანდს მოისაკლისებენ — გოლკიპერს მუხლი ასტკივებია.

ასევე ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მეომარი „შალკე“ შინ „არმინიას“ შეებრძოლება. „ხუმარებს“ ნიგერიელი ფორვარდი ვიქტორ აგალი არ ეყოლებათ — მან თებერვალში აიკიდა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია დორტმუნდელ დედესთვის სიფათში იდაყვის ჩარტყმის გამო და სასჯელი ჯერაც არ მოუხდია.

ბილეფელდელებს კი ტრავმების გამო მოაკლდებათ რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის წამყვანი მოთამაშეებიც — პოლონელი ნახევარმცველი მურავსკი და ხორვატი თავდამსხმელი ილია არაჩიჩი.

ბოლო დროს დაუძლურებულია თომას შაафის „ვერდერი“ — „მუსიკოსებმა“ წინა ხუთი ბუნდესლიგური მატჩი წააგეს, თასიდან კი „კაიზერსლაუტერნმა“ დაიფრინა. ბრემენელებს დისკვალიფიცირებული ფორვარდი მარკუს დაუნი არ ეყოლებათ. მათი მეტოქე „ბოხუმი“ ტრავმირებული ფეხბურთელებითაა დაცლილი — ბოხუმელებს „დორტმუნდისაგან“ ნათხოვარი ნიგერიელი მცველი სანდი ოლისეც შეუძლოდ ჰყავთ.

„ჰერტა“ — „მიუნხენ 1860“ — ამათ უეფას თასის საგზური უნდათ და დღეს ერთმანეთს დაერევიან.

კაი ძიძგილაობა უნდა გამოვიდეს ჰანოვერში — მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონს პირველში ყოფნა ურჩევნია და საამისოდ „ჰანზას“ როსტოკში ქულაც არ უნდა გაატანოს. „ჰანოვერს“ ვერ შეეშველება სენეგალელი მცველი დეიმ დიუფი, ვისაც მუხლის მყესები დაუზიანებია.

ბოლოსთვის მოვიტოვეთ ბოლოადგილოსანი „კაიზერსლაუტერნი“. ერიკ გერეტსის გუნდის პროგრესი აშკარაა, მაგრამ ლაუტერნელები ფსკერიდან ასვლას ვერა და ვერ ახერხებენ. არგავარდნისთვის ბრძოლაში „ნიურნბერგი“ მათი უშუალო კონკურენტია და გასაყიდად გამზადებულ „ფრიც ვალტერ შტადიონზე“ ხვალ ნაღდად დაცხება. ნიურნბერგელებს ორი მცველი — თომას კოსი და თომას შტილი — მოაკლდებათ დისკვალიფიკაციის გამო, რაც მცირედით ზრდის „ლაუტერნის“ შანსებს.

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვოლფსბურგი | — | კოტბუსი |
| ჰერტა | — | მიუნხენ 1860 |
| შტუტგარტი | — | ჰამბურგი |
| შალკე | — | არმინია |
| ვერდერი | — | ბოხუმი |
| ბაიერნი | — | ლევერკუზენი |
| გლადბახი | — | დორტმუნდი |
| **ხვალ** | | |
| ლაუტერნი | — | ნიურნბერგი |
| ჰანოვერი | — | ჰანზა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 23 | 16 | 5 | 2 | 49:15 | 53 |
| დორტმუნდი | 23 | 12 | 7 | 4 | 39:19 | 43 |
| შტუტგარტი | 23 | 12 | 6 | 5 | 38:26 | 42 |
| შალკე | 23 | 9 | 10 | 4 | 33:25 | 37 |
| ჰამბურგი | 23 | 10 | 6 | 7 | 28:28 | 36 |
| ვერდერი | 23 | 10 | 4 | 9 | 37:37 | 34 |
| ჰერტა | 23 | 9 | 6 | 8 | 28:26 | 33 |
| მიუნხენი | 23 | 9 | 6 | 8 | 32:33 | 33 |
| ბოხუმი | 23 | 8 | 6 | 9 | 39:39 | 30 |
| ჰანზა | 23 | 7 | 7 | 9 | 25:28 | 28 |
| ვოლფსბურგი | 23 | 8 | 4 | 11 | 25:30 | 28 |
| ლევერკუზენი | 23 | 7 | 5 | 11 | 31:37 | 26 |
| არმინია | 23 | 6 | 8 | 9 | 24:30 | 26 |
| ჰანოვერი | 23 | 7 | 5 | 11 | 32:43 | 26 |
| ნიურნბერგი | 23 | 7 | 4 | 12 | 28:37 | 25 |
| გლადბახი | 23 | 6 | 5 | 12 | 24:32 | 23 |
| კოტბუსი | 23 | 6 | 5 | 12 | 22:41 | 23 |
| ლაუტერნი | 23 | 5 | 7 | 11 | 25:33 | 22 |

# ესპანეთი

გიორგი დარხანია

# სამეფოში განცხრომისთვის არ სცალიათ

| XXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეალი | — | რასინგი |
| დეპორტივო | — | ვილიარეალი |
| ბარსელონა | — | ვალიადოლიდი |
| ვალენსია | — | ატლეტიკო |
| **ხვალ** | | |
| რაიო ვალეკანო | — | სელტა |
| მალაგა | — | ბილბაო |
| უელვა | — | ესპანიოლი |
| მალიორკა | — | ბეტისი |
| სევილია | — | ოსასუნა |
| სოსიედადი | — | ალავესი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 24 | 13 | 9 | 2 | 54:25 | 48 |
| სოსიედადი | 24 | 13 | 8 | 3 | 40:30 | 47 |
| ვალენსია | 24 | 13 | 7 | 4 | 41:18 | 46 |
| დეპორტივო | 24 | 13 | 6 | 5 | 39:26 | 45 |
| სელტა | 24 | 11 | 5 | 8 | 30:22 | 38 |
| ბეტისი | 24 | 10 | 6 | 8 | 34:34 | 36 |
| ატლეტიკო | 24 | 9 | 8 | 7 | 37:32 | 35 |
| სევილია | 24 | 8 | 8 | 8 | 19:18 | 32 |
| ბარსელონა | 24 | 8 | 7 | 9 | 37:32 | 31 |
| ვილიარეალი | 24 | 8 | 7 | 9 | 23:27 | 31 |
| ვალიადოლიდი | 24 | 9 | 3 | 12 | 25:28 | 30 |
| ბილბაო | 24 | 8 | 6 | 10 | 37:41 | 30 |
| რასინგი | 24 | 9 | 2 | 13 | 30:31 | 29 |
| მალაგა | 24 | 6 | 10 | 8 | 30:31 | 28 |
| ოსასუნა | 24 | 7 | 7 | 10 | 26:31 | 28 |
| მალიორკა | 24 | 8 | 4 | 12 | 26:40 | 28 |
| ალავესი | 24 | 7 | 7 | 10 | 28:44 | 28 |
| ესპანიოლი | 24 | 7 | 4 | 13 | 26:34 | 25 |
| რაიო | 24 | 6 | 4 | 14 | 23:38 | 22 |
| უელვა | 24 | 5 | 6 | 13 | 24:47 | 21 |

**წინა ტურში** „სოსიედადი“ „ვალიადოლიდთან“ დამარცხდა, „რეალმა“ კი „ალავესს“ მოუგო, რითაც პრიმერადივიზიონს ლიდერი შეეცვალა. ახალი ლიდერი, მადრიდული კლუბი, რომელიც ხუთშაბათს 101 წლისა მოიყარა, დღეს სანტანდერის „რასინგს“ მასპინძლობს.

„პირველ ადგილზე ასვლა უდიდეს შრომად დაგვიჯდა, მაგრამ ახლა განცხრომის უფლება არ გვაქვს — თქვა მადრიდელთა ჩაკარე იკერ კასილიასმა, რომელსაც ამ კვირაში ხელფასი გაუზარდეს — ლიდერობის შენარჩუნება არანაკლებ რთული საქმეა“.

„რასინგი“ ცხრილში ოდენ მეცამეტეა და ერთ-ერთია იმ ორი გუნდიდან, რომელმაც ამ სეზონში „რეალის“ დამარცხება შეძლო. მაგრამ ეს სანტანდერში მოხდა, ახლა კი თამაში „სანტიაგო ბერნაბეუზეა“, სადაც პრიმერადივიზიონულ მატჩებში „რეალი“ 2000 წლის ნოემბრის მერე არ დამარცხებულა. ამასთანავე „რასინგს“ არ ეყოლება ყოფილი რეალელი პედრო მუნიტისი, რომელიც დაშავებულა. სხვათა შორის, ოქტომბერში, „სარდინეროზე“ სწორედ მუნიტისის გოლით მოუგო „რასინგმა“ „რეალს“.

მასპინძლებს დაუბრუნდებათ ლუიშ ფიგუ, მაგრამ ფერნანდო იეროსა და ივან ელგერას ტრავმები ვისენტე დელ ბოსკეს აიძულებს დაცვის ცენტრში სარეზერვო გუნდიდან გადმოყვანილი რუბენი ათამაშოს.

რადომირ ანტიჩის მისვლის მერე „ბარსელონა“ არ დამარცხებულა, თუმც წინა ტურში, „ოსასუნასთან“, წამატებულ დროში გაშვებული გოლით დაკარგა ორი ქულა. დღეს „ბარსა“ „სოსიედადის“ მძლეველ „ვალიადოლიდს“ მასპინძლობს და სასტარტო შემადგენლობაში ალბათ ლუის ენრიკე, პატრიკ კლუივერტი და პატრიკ ანდერსონი ეყოლება. ეს ის ფეხბურთელია, რომლებიც დაშავებულები იყვნენ.

სამეფო თასზე ხელმოცარულ „დეპორტივოს“ კვლავ ჩემპიონატზე მოუწევს ყურადღების გადატანა. ლაკორუნიელები ახლა მეოთხე ადგილზე არიან, მაგრამ ლიდერს ოდენ სამი ქულით ჩამორჩებიან და ვინ იცის... ისე კი, ხავიერ ირურეტას სამივე ფორვარდი, როი მაკაი, დიეგო ტრისტანი და ალბერტო ლუკე კარგ ფორმაში ჰყავს და „ვილიარეალის“ კარის ამოვსებაც, წესით, არ უნდა გაუჭირდეს.

უფრო ძლიერი მეტოქე ჰყავს „ვალენსიას“ — მადრიდის „ატლეტიკო“. მოქმედი ჩემპიონი აგერ შვიდი ტურია, არ დამარცხებულა, მის ბანაკში კი კარგი ამბავიცაა და ცუდიც. კარგი: გუნდს არგენტინელი გამთამაშებელი პაბლო აიმარი დაუბრუნდა. ცუდი: მცველი ფაბიო აურელიო დაშავებულა.

„ატლეტიკომ“ კი ერთბაშად ორი ფორვარდი დაკარგა — ფერნანდო ტორესს ტრავმის გამო ორი კვირა გაუცდება, ხოლო ლუის გარსია დისკვალიფიცირებულია. ეს ნიშნავს, რომ მადრიდელთა იერიშებს ოდინდელი მილანელი, ხავი მორენო გაუძღვება.

მეორე წრეში აჭრილ „სოსიედადს“ „ალავესთან“ წაგება კი არა, ფრეც შესაძლოა მეოთხე ადგილამდე დაქვეითებად დაუჯდეს. მაგრამ სანსებასტიანელებს რამდენიმე გარემოება აძლევს გამარჯვების იმედს. ერთი, რომ თურქმა ნიჰათმა დისკვალიფიკაცია მოიხადა და შეტევაში დარკო კოვაჩევიჩს შეუწყვილდება. მეორე კი ის, რომ „ალავესს“ დაცვა გინდ ჰყოლია, გინდ არა — ბოლო ორ მატჩში ვიტორიელებმა 11 გოლი გაუშვეს.

უეფას თასის მეოთხედფინალისტი „მალაგა“ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით კმაყოფილი უნდა იყოს. ფედერაციამ დარიო სილვა წინა ტურში, „ატლეტიკოსთან“ მატჩისას მიღებული წითელი ბარათი გაუუქმა.

მალაგელთა მეტოქე „ბილბაოა“, რომელიც წინა ტურში ბოლოადგილოსან „უელვასთან“ დამარცხდა, „მალაგას“ წინააღმდეგ კი ისმაელ ურსაისით გაძლიერებული ითამაშებს. სამაგიეროდ, ბასკებს დისკვალიფიცირებული დელ ორნო დააკლდებათ.

ამ უქმეებზე შესაძლოა, ცხრილის ბოლოშიც გადაადგილებები მოხდეს. თუ „რაიო ვალეკანო“ „სელტასთან“ დამარცხდა, რაც გასაკვირი არ იქნება, ხოლო „უელვამ“ „ესპანიოლს“ სძლია (არც ეს იქნება გასაკვირი), ცხრილის ფსკერზე მადრიდული კლუბი დაილექება.

მაგრამ ასეც შეიძლება მოხდეს: „ესპანიოლმა“ „უელვას“ მოუგოს, „ალავესი“ სან სებასტიანში არ დამარცხდეს, „მალიორკამ“ კი „ბეტისთან“ წააგოს. ამ შემთხვევაში სამეფო თასის ორივე ფინალისტი — „მალიორკაც“ და „უელვაც“ — გასავარდნთა ზონაში აღმოჩნდებიან და ვინ იცის, ფინალის დღეს, 28 ივნისს, ეგებ ორივე მეორე დივიზიონის ბინადარი იყოს. აი, ხეირი ეგ იქნება.



პედრო მუნიტისი ძველ მეგობრებს დღეს ვერ შეუტევს

# მარტოხელა მოცურავე

## მარკო ვან ბასტენი ღვთის წყალობას ელის



*ამ გაზაფხულზე ათი წელი შესრულდება, რაც მარკო ვან ბასტენმა მუხთალი ტრავმის გამო ფეხბურთს თავი დაანება. 1999 წლის მაისში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მარსელსა" და „მილანს" შორის, ჰოლანდიელმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ის ფინალი მისთვის ბოლო ოფიციალურ მატჩად იქცეოდა.*

*ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველთა უფერული გამოსვლის მერე სიდნეიში მოპოვებულმა ექვსმა ბრინჯაოს მედალმა და შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატებზე წარმატებებმა საათენოდ სალეროლელი აგვიშალა. და ახლა, როცა ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე წელიწადნახევარიღა დარჩა და მისთვის სალიცენზიო პაექრობებიც ძალას იკრებს, ჩვენი გულისყური ჩვენივე ოლიმპიელებისკენ სულ უფრო იხრება. ამიტომაც ვეწვიეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს და გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს, რომლებსაც საათენოდ ჩვენი ოლიმპიელების სამზადისზე ვესაუბრეთ.*

— საათენოდ-სალიცენზიო ტურნირების დასრულებამდე კიდევ დიდი დროა, მაგრამ ალბათ ჩვენი გუნდების უფროსი მწვრთნელების ვარაუდისა და საკუთარი ანალიზის გათვალისწინებით საქართველოს ოლიმპიელთა რაოდენობა უკვე გამოთვლილი გექნებათ.

*ჯანო ბაგრატიონი:* რა თქმა უნდა, გუნდის წევრთა სავარაუდო რაოდენობა გათვლილი გვაქვს. ათენში დაახლოებით იმდენივე კაცი იასპარეზებს, რამდენიც ატლანტასა და სიდნეიში გვყავდა. გეხსომებათ, ორივე შემთხვევაში 36-36 იყო. ახლაც ცოტა მეტი ან ნაკლები გვეყოლება და მთავარი დამრტყმელი ძალა ძიუდოისტები, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები იქნებიან. ვფიქრობთ, ისინი სრული გუნდებით, 7-7 კაცით იასპარეზებენ. მათ გარდა, ჩვენი ვარაუდით, ათენში უთუოდ გვეყოლებიან სპორტსმენები ძალოსნობაში, ტყვიის სროლაში, მშვილდოსნობაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში; ალბათ მონაწილენი გვეყოლებიან ჩოგბურთში, აფროსნობაში, თანამედროვე ხუთჭიდშიც; მძლეოსნობის ფედერაციაში ფიქრობენ, რომ ერთი-ორი სპორტსმენი მათაც ეყოლებათ.

**— თქვენ ზოგი ისეთი სახეობა ჩამოთვალეთ, რომ გულშემატკივრებს საქართველოში მათი არსებობა, მგონი, აღარც ახსოვთ. ამ სახეობებში ალბათ ეგრეთ წოდებული „ველური ბარათების“ იმედად ხართ.**

— სულაც არა. ამ ბარათებზე ამჯერად უარს ვამბობთ. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება აფროსნობაში დავუშვათ.

**— კი მაგრამ, რომ დაუშვათ, რაღაცა დონის სპორტსმენი მაინც ხომ უნდა გყავდეს, აფროსნობაში კი ვინ გეგულებათ?**

— ვინ და ევროპის 1984 წლის ექსჩემპიონი გურამ ბიგანიშვილი, რომელმაც ბარსელონისა და ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა. მას ახლაც ძალიან უნდა, რომ კიდევ ერთხელ გამოვიდეს ოლიმპიურ თამაშებზე.

**— მაგრამ ხომ უნდა ნავი, რომელიც მეტად ძვირი სიამოვნებაა.**

*ემზარ ზენაიშვილი:* მას იტალიაში იტალიელებისვე ნაჩუქარი ნავი აქვს, იქვე ცხოვრობს და იქვე ვარჯიშობს, ჩვენგან კი ერთ თეთრსაც არ ითხოვს. მას მეწყვილეობას, როგორც აქამდე, რუსი, მაგრამ საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ გრუზდევი გაუწევს ან ლერი ხაბელოვი.

**— ვინ ლერი ხაბელოვი?**

— მსოფლიოს ხუთგზისა და ოლიმპიური ჩემპიონი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე...

**— ხუმრობთ? მოჭიდავის გააფროსნება სად გაგონილა?**

— კაცი დიდი მონდომებით ემზადება და სულაც არ ვხუმრობთ.

**— ახლა ისიც არ გვითხრათ, ჩვენმა სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა, გაამერიკელებულმა ვახტანგ იაგორაშვილმა თანამედროვე ხუთჭიდი გაიხსენოო.**

— იაგორაშვილს თანამედროვე ხუთჭიდი არც არასოდეს მიუტოვებია და ახლა ამ სახეობაში ამერიკის ნაკრებსაც ავარჯიშებს. იქვე ავარჯიშებს ჩვენს დავით ჭულუხაძესაც და მას სხვა მხრივაც ეხმარება. როგორც მისი აქაური მწვრთნელი ამირან შეროზია ამბობს, მისი აღსაზრდელი კარგ სპორტულ ფორმაშია, ყველაფერი კი ამ ზაფხულს გაირკვევა, როცა ჭულუხაძე მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა.

**— ჩოგბურთში კი მთელ იმედებს ირაკლი ლაბაძეზე ამყარებთ, მაგრამ იგი ხომ რეიტინგში ჯერ 103-ეა?**

*ზენაიშვილი:* ჩვენი ვარაუდით, ასეულში ყოფნა ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის შანსს იძლევა. საქმე ისაა, რომ იქ საკმაოდ არიან ამერიკელები, რომლებიც ლიცენზიას მოიპოვებენ, ოლიმპიურ თამაშებზე კი ერთი ქვეყნიდან ორი მონაწილე იქნება. იგივე შეიძლება ითქვას ავსტრალიელებზე და სხვებზეც, ასე რომ, ლაბაძეს შანსი უჩნდება.

**— მაგრამ შანსი ერთია, ათენში წარმატება კი მეორე...**

*ბაგრატიონი:* საერთოდ, ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვება იოლი გასეირნება სულაც არ არის. ლიცენზია სპორტსმენის, მისი მწვრთნელის მაღალი კლასის დასტური და მათი უნარიანი ხელმძღვანელობის მაჩვენებელია. ამიტომაც ყველა, ვინც ლიცენზიას საკუთარი ოფლით მოიპოვებს, ოლიმპიურ თამაშებზეც იასპარეზებს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა, ვინც ათენში გამოვა, მედლისთვის იბრძოლებს. იქ ზოგი თუ კვარცხლბეკზე ასასვლელად თავს არ დაზოგავს, სხვას მოკრძალებული მიზნები ექნება.

**— მაინც რამდენი მედლის მოპოვებას ვარაუდობთ?**

— ასეთი შანსი ათ-თორმეტ სპორტსმენს მაინც აქვს. აქედან ოთხ-ხუთ კაცს ოქროს მოპოვებაც შეუძლია. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი მიზანს მიაღწევს, მაგრამ მეტ-ნაკლები შანსი ყველას აქვს.

### ჩვენი ორიენტირი




### უკეთ, ვიდრე სიდნეიში

სეოკ-ის საათენო დევიზი

**— ოლიმპიური თამაშები მხოლოდ მეტრები, წამები, კილოგრამები და მედლები არ არის. ოლიმპიური თამაშები ფართო კულტურულ პროგრამასაც მოიცავს, მით უმეტეს, ეს პროგრამა ყველაზე ვრცელი იქნება ათენში...**

*ზენაიშვილი:* რა თქმა უნდა, ძალიან გვინდა, რომ ამ პროგრამაში საქართველო რაიმე სახით წარმოჩნდეს, თუმცა ეს მეტად ძნელი იქნება. საქმე ისაა, რომ ეს მასპინძლებს ხელს არ აძლევს, რადგან ისინი თავად არიან დაინტერესებული, რათა კულტურული პროგრამით რაც შეიძლება ვრცლად წარმოჩნდნენ. ასეა თუ ისე, ამ საკითხზე ჩვენც ვმუშაობთ, საქართველოს კულტურის მინისტრიც და საქართველოს ელჩიც საბერძნეთში.

**— საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და საერთოდ ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით ათენში, ოლიმპიადის დღეებში, ისე როგორც ატლანტაში, ალბათ, ქართული სახლი მაინც გვექნება.**

*ბაგრატიონი:* სამწუხაროდ, ეს საქმეც მეტად პრობლემატურია, რადგან იგი 300 ათასი ამერიკული დოლარი ჯდება. ასეთი თანხის გაღება არც სახელმწიფოს შეუძლია და არც ჩვენ. ამიტომაც იყო, რომ სიდნეიში უსახლოდ დავრჩით, ატლანტაში კი ამისთვის ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს და მაშინ ქართულმა სახლმა დიდი მისიაც შეასრულა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელი უკვე ჩავიქნიეთ და გამოსავალ გზებს არ ვეძებთ.

**— ატლანტაში ჩვენი სპორტსმენები „რიბოკმა“ გამოაწყო, სიდნეიში — „მიზუნომ“. ათენში ვინღა შეგვმოსავს?**

— საოლიმპიადოდ ჩვენი 100-კაციანი დელეგაციის ეკიპირებისთვის სეოკ-ი კარგა ხანია, თადარიგს იჭერს. ჩვენი სპორტსმენების აღსაკაზმავად ერთი ფირმაც მზადაა და მეორეც, როგორც იტყვიან, სტარტზეა „კაპაც“ და ალბათ დაგვეთანხმებით, რომ სამივე ერთმანეთზე უკეთესია. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ საალუმო ჩაცმა-დახურვას, დიდი სურვილი გვქონდა, რომ ჩვენი სპორტსმენები ჩვენივე მოდელიორების ნაოსტატარით გამოწყობილიყვნენ, მაგრამ სეოკ-ის ამგვარ საკონკურსო განცხადებას დუმილი მოჰყვა...

*ზენაიშვილი:* ამიტომ თვის ბოლოს მივლინებით „ბალმაინის“ ფირმის მესვეურებთან მივემგზავრები. გეხსომებათ, ამ ფირმის სამოსში გამოწყობილი ჩვენი დელეგაცია სასიამოვნო სანახავი იყო. ამას გარდა, არის სხვა ვარიანტიც და ლონდონშიც მომიწევს გამგზავრება. შესაძლოა, სამოსი ინგლისის დედაქალაქში, ჩვენი თანამემამულეების დაიზაინით შეიკეროს, ოღონდ ჯერ მათი ვინაობის დასახელებას ნუ მომთხოვთ.

**— და კოხტად გამოწყობილი ქართველები, იმედია, უსახსრობის გამო ათენში ავტობუსებით არ გაემგზავრებიან...**

— ხუმრობა იქით იყოს და, ალბათ, „აირზენას“ „ბოინგით“ გადავფრინდებით: ჩვენი ოფიციალური გადამყვანი და აქედან გამომდინარე შეღავათებით, სწორედ ეს კომპანია იქნება. ყოველ შემთხვევაში, ორივე მხარეს ასეთი სურვილი გვაქვს. იმასაც გეტყვით, რომ ოფიციალური დელეგაციის ხარჯებს სეოკ-ი თავის თავზე აიღებს.

**— ხარჯებზე გაგვახსენდა, ამ ბოლო დროს აღარც თქვენგან და აღარც ჩვენი ოლიმპიელების მწვრთნელებისგან აღარ ისმის, არიქა, უსახსრობის გამო ვიღუპებით, ვეღარც შეკრებებს ვაწყობთ და ვეღარც შეჯიბრებებზე მივემგზავრებით.**

*ბაგრატიონი:* მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილის კეთილი ნებით, მისივე პრეზიდენტობით და ჩვენი მონდომებით ოლიმპიური ფონდი შეიქმნა, ფინანსურად ამოვისუნთქეთ, მაგრამ ამ საკითხზე, როგორც ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტის მოადგილე, ემზარ ზენაიშვილი უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.

*ზენაიშვილი:* ფონდი წლეულს ალბათ მილიონნახევარს გაიღებს. ამ თანხის 70 პროცენტი მიზნობრივად „ათენი-2004“-ის პროგრამაზე დაიხარჯა. ეს პროგრამა ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობს. ერთია სპორტსმენთა და მწვრთნელთა სოციალური დაცვა, მეორე — სპორტული ფედერაციებისთვის ხელის შეწყობა, რაც სალიცენზიო ტურნირების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის შეკრებების გამართვას და შეჯიბრებებში გამოსვლას ისახავს მიზნად. ამისთვის 500 ათასი ლარი დაიხარჯა, სპორტსმენები კი ფონდიდან 500-დან 1500 ლარამდე იღებენ, მწვრთნელები — 500-დან 1200-მდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ათი სპორტსმენი ჩვენგან ოლიმპიურ სტიპენდიასაც იღებს და მომავალში ოლიმპიური სტიპენდია ალბათ ახალგაზრდა სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებსაც დაენიშნებათ, მაშინ ახლო წარსულთან შედარებაც არ შეიძლება.

**ავთანდილ გურასპიშვილი**



გურამ ბიგანიშვილი საათენოდ ძველ დროებას იხსენებს

Euroleague

# ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. 5-6 მარტი

# ოლიმპიას ბოისა აღარც დასჭირდა

## ბარსელონას ვარსკვლავები ნათურებივით ჩააქრეს



REUTERS ლიუბლიანიდან

ბარსელონელი ვარეხაო ბევრს, მაგრამ ტყუილად ეცადა

ერთი ერთზე აბა, რომელი ოლიმპიელი შეებრძოლება დეიან ბოდიროგას, გრეგორ ფუჩკას, საულიუს იასიკევიჩუსს, ანაც ღევკაც რობერტო დუენიასს. სამაგიეროდ ლიუბლიანელებმა შეკრული და ტაქტიკურად გამართული თამაშის წყალობით იძალეს მრისხანე მეტოქეზე. სამწუხაროა, რომ ამ ეპოპეაში თავისი სიტყვა ვერ თქვა ჩვენებურმა ვლადიმერ ბოისამ. ვოვამ მხოლოდ საწყისი 5 წუთი ითამაშა და შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა.

ჩვენებური სათადარიგო სკამზე მატჩის დებიუტშივე იმიტომ აღმოჩნდა, რომ მე-5 წუთისთვის უკვე სამი პერსონალური შენიშვნის მიღება მოასწრო. მაჰორიჩმა ვოვა მოედანს გაარიდა, რათა შედარებით მნიშვნელოვან ბრძოლებში, სავარაუდოდ მატჩის მეორე ნახევარში დაესაქმებინა, მაგრამ ვინ დააცალა — ოლიმპიელები ისე ათამაშდნენ, ბოისას მოედანზე გასვლა საჭირო აღარ გახდა.

„ოლიმპია" ზონაში იდგა, შეტევაში კი ფარქვეშა ბრძოლებს უფრთხოდა, რაკი იქ 221-სანტიმეტრიანი დუენიასი და სხვა აყლაყუდა ბარსელონელები ბატონობდნენ. ლიუბლიანელთა საქმე ავად წავიდოდა, საშუალო და შორი სროლები რომ არ წასვლოდათ. ოლიმპიელ იასმინ ჰუკიჩი აქამდე მეფარეობაზე დებდა თავს, ახლა კი პერიმეტრზე აინაცვლა და იქიდან დაბომბა კატალონიელთა კალათი. არც ჰუკიჩის თანაგუნდელები პასიურობდნენ და „ოლიმპიამ" 16-ქულიანი ტაიმთშორისი ლიდერობა დაიბევა.

ბარსელონელები სინდისის ქენჯნამ და მწვრთნელის სიტყვებმა შეაწუხა. მათ თამაში გაათანაბრეს და ბოლო მეოთხედის შუაწელში იასიკევიჩუსის სიზუსტის წყალობით 2 ქულითაც დაწინაურდნენ. მაგრამ კატალონიელებს ლაგამი ამოსდო გორან იურაკმა, რომელმაც ოლიმპიელები ერთ ეპიზოდში 7:0 გააქცია. ესპანურმა კლუბმა მოახერხა და სამი ქულით ჩამორჩენილს მატჩის ოვერტაიმში გადამყვანი სროლის უფლება მოიპოვა — იასიკევიჩუსმა ვეღარ იყოჩაღა.

ბოისასი არ იყოს, ვერც სხვა მეევროლიგე ქართველები გამოირჩნენ. ზაზა ფაჩულიას „ულქერმა" ახალი ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩიც წააგო, ამჯერად შინ „სკიპერთან". ჩვენებური კინკილა წუთით გავიდა მოედანზე. ერთი წუთი ითამაშა მანუჩარ მარკოიშვილმაც, ვისმა „ბენეტონმაც" შარშანდელი ევროლიგის ნახევარფინალში დამარცხებისთვის ღირსეულად იძია შური იტალიურსავე „კინდერთან".

კვლავ ყურადღების ეპიცენტრშია ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია". მეორე ჯგუფური ეტაპის საწყის ტურში „ოლიმპიაკოსთან" ბოლო წამებზე წაგებულ მატჩს ლიუბლიანელებს სიძაბუნეში ვერავინ ჩამოართმევს, მით უფრო ახლა, როცა ოლიმპიელებმა ბობოლა „ბარსელონა" განგმირეს.

„ბარსელონა" ერთი შეხედვით უძლეველი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. კატალონიელებს მოეძევებათ ბებერი კონტინენტის აღიარებული ვარსკვლავები. ამ გუნდში ევროპის წამყვანი ნაკრებების ლიდერები რიგითი წევრები არიან. ესპანურ გრანდს თავკაცობს ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორი მწვრთნელი, იუგოსლავიელი სვეტისლავ პეშიჩი და ამდენად „ბარსელონა" ნებისმიერ მეტოქესთან მატჩში ფავორიტად ჩაითვლება. ამ საფავორიტო ისტერიის ფონზე კატალონიელთა ძლევა თამამად შეიძლება გმირობად ჩავუთვალოთ საშუალო გაქანების კალათბურთელებით დაკომპლექტებულ ოლიმპიელებს, რომლებსაც არც ვარსკვლავები მოეძევებათ და მწვრთნელადაც ამ საქმეში შედარებით გამოუცდელი სპეციალისტი ტომო მაჰორიჩი უზით.

**ირაკლი ბერტაია**

### D ჯგუფი

**ცსკა 79:69 ციბონა**
**ცსკა:** ხაძივრეტასი (22), ჰოლდენი (16)
**ციბონა:** რიმაჩი (28)

**უნიკახა 74:75 ეფესი**
**უნიკახა:** ოკულაია (21 ქულა, 11 მოხსნა)
**ეფესი:** კამბალა (25 ქულა, 11 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | +29 | 4 |
| ეფესი | 2 | 2 | 0 | +7 | 4 |
| ციბონა | 2 | 0 | 2 | -16 | 2 |
| უნიკახა | 2 | 0 | 2 | -20 | 2 |

### E ჯგუფი

**სიენა 82:76 პანათინაიკოსი**
**სიენა:** ჟუკაუსკასი (20), ფორდი (20)
**პანათინაიკოსი:** ფოცისი (22 ქულა, 11 მოხსნა)

**ულქერი 69:75 სკიპერი**
**ულქერი:** ბუკერი (17), ფაჩულია (1 წუთი, 0 ქულა)
**სკიპერი:** ბარტონი (21), გალანდა (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 2 | 2 | 0 | +11 | 4 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 1 | +8 | 3 |
| სკიპერი | 2 | 1 | 1 | -8 | 3 |
| ულქერი | 2 | 0 | 2 | -11 | 2 |

### F ჯგუფი

**მაკაბი 100:77 ტაუ**
**მაკაბი:** შელეფი (21), ვუიჩიჩი (20)
**ტაუ:** ნოჩიონი (17), პალადინო (15)

**კინდერი 70:82 ბენეტონი**
**კინდერი:** ბრკიჩი (17), დიალი (15)
**ბენეტონი:** ლანგდონი (20), მარკოიშვილი (1 წუთი, 0 ქულა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 2 | 2 | 0 | +33 | 4 |
| ბენეტონი | 2 | 2 | 0 | +25 | 4 |
| კინდერი | 2 | 0 | 2 | -22 | 2 |
| ტაუ | 2 | 0 | 2 | -36 | 2 |

### G ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 69:59 ვილერბანი**
**ოლიმპიაკოსი:** ევანსი (18), ტომიჩი (13)
**ვილერბანი:** ფიფა (16), პეტროვი (14)

**ოლიმპია 72:69 ბარსელონა**
**ოლიმპია:** იურაკი (14), ბოისა (5 წუთი, 0 ქულა)
**ბარსელონა:** ბოდიროგა (20), იასიკევიჩუსი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 0 | +12 | 4 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | +5 | 3 |
| ოლიმპია | 2 | 1 | 1 | +1 | 3 |
| ვილერბანი | 2 | 0 | 2 | -18 | 2 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



AP პორტლენდიდან

პორტლენდელებმა ბევრი სდიეს ალენ აივერსონს, მაგრამ ამან 36 ქულა მაინც ჩააგდო

# პამპასებიდან პასი აფრინდა

## თავისუფლება მანუ ჯინობილის!

— 6 მარტი —

**სან ანტონიო 92:78 ნიუ ჯერსი**
**სან ანტონიო:** დანკანი (21 ქულა, 21 მოხსნა), პარკერი (21), ჯინობილი (18 ქულა, 7 პასი, 5 ჩაჭრა)
**ნიუ ჯერსი:** მარტინი (19), კიდი (11 ქულა, 13 პასი, 8 მოხსნა)

**პორტლენდი 60:88 ფილადელფია**
**პორტლენდი:** ვოლესი (17)
**ფილადელფია:** აივერსონი (36), სნოუ (16)

**ჩიკაგო 119:105 გოლდენ სტეიტი**
**ჩიკაგო:** კარი (24 ქულა, 10 მოხსნა), ჩანდლერი (23 ქულა, 14 მოხსნა), როუზი (21), მარშალი (14 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი)
**გოლდენ სტეიტი:** არენასი (28), ჯემისონი (23)

შარშანდელი ფინალისტი „ნიუ ჯერსი ნეთსი" წლეულსაც არანაკლები პრეტენზიებით მიაბოტებს რეგულარულ ჩემპიონატში. ამბიციამოძალებული „ბადეები" თავიანთ თავს ლიგის ზეშელონში სწერენ და გაჩემპიონობაზე საუბარსაც მიეჩვივნენ. ჩვენ კი მათზე ის ვთქვათ, რომ „ნეთსი" სულ უფრო და უფრო ხშირად იჭრება სერიოზულ გამოცდებზე.

„სნ ანტონიო სფურზთან" მარცხი „ნეთსისთვის" მეხუთე იყო ბოლო ექვს შეხვედრაში. ტეხასელებმა ყოველგვარი გართულების გარეშე სძლიეს ბაქია მეტოქეს. „სფურზის" ლიდერმა, 21-ნომრიანი მაისურით მოთამაშე ტიმ დანკანმა 21 ქულა ჩაუგდო და 21 ბურთი მოუხსნა „ნიუ ჯერსის", ხოლო დანკანის ჭაბუკმა და მომცრო თანაგუნდელმა ტონი პარკერმა „ნეთსის" დილერი ჯეისონ კიდი აოტნა ორთაბრძოლაში. აქვე გავიხსენოთ, რომ კიდი წინა სეზონის ბოლოს ერთობ ნაწყენი დარჩა, როცა 2001-02 წლების სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ ჟურნალისტებმა ის კი არა, დანკანი დაასახელეს. ახლა კი კიდმა არათუ დანკანთან, მის 20 წლის თანაგუნდელთანაც კი წააგო დუელი. მან პარკერის წინააღმდეგ თამაშში 19 სროლიდან 15 ააცილა და შეხვედრა 11 ქულით დაასრულა, რაც თითქმის ერთიორად ნაკლებია მის ზოგადსასეზონო მაჩვენებელზე.

ნიუჯერსელები ცალკე აიკლო „სფურზის" არგენტინელმა ახალბედამ მანუ ჯინობილიმ. მან 18 ქულა, 7 პასი და 5 ჩაჭრა გააკეთა. ის ბოლო 5 თამაშში მეოთხედ ასცდა 10-ქულიან ზღვარს.

„როგორც მოთამაშე, ჯინობილი ძალზე შეურაცხადია და უჭირს ჩარჩოებში მოქცევა. ის იმდენად აქტიური და დაუდგრომელია, რომ ხანდახან მაშინებს. როგორმე მეტი თავისუფლება უნდა მივცე, ლაგამი უნდა მივუშვა და ვნახო, რა სასწაულებს დაატრიალებს" — ამბობს ამ სისხლსავსე არგენტინელზე მისი მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი.

ნბა-ში ჩვეული მოვლენაა, ჯინობილისთანა მოთამაშის თავის ნებაზე მიშვება და შემდეგ მის გარშემო გუნდის აწყობა. აგერ მეორე მაგალითიც — ალენ აივერსონი. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვადარებთ აივერსონს და ჯინობილის. ისინი აშკარად სხვადასხვა გაქანების მოთამაშეები არიან, თუმც სისხლი ორივეს უდუღს და ორივეს უჭირს სხვებზე დაქვემდებარება. „ფილადელფიაშიც" აგერ მერამდენე წელია, აივერსონი თავისას ბურთაობს, დანარჩენები ფილადელფიელები კი მის მომსახურე პერსონალს წარმოადგენენ. ამდენად „ფილადელფიას" წარმატება ბევრით დამოკიდებულია აივერსონის სათამაშო ფორმაზე. ახლა აივერსონი შესანიშნავ ფორმაშია, „პორტლენდსაც" 36 ქულა ჩაუგდო და თავის გუნდს ბოლო 11 შეხვედრაში მეათედ მოაგებინა.

„ჩვენ სწორ რელსებზე ვიდექით და ბოლო სიჩქარით მივქროდით. ზედიზედ ცხრა გამარჯვება გვქონდა, როცა „საკრამენტოს" გადავეყარეთ და შევფერხდით. ასეთი მარცხი ერთბაშად აგდებს სიჩქარეს და გუნდმა შეიძლება, მას მეორე, მესამე წაგებაც მოაყოლოს და აი, მერე იწყება ეს დაწყევლილი უკუპროცესი, ზედიზედ წაგებების სერია. ქომაგებმა მადლობა უნდა გვითხრან, „პორტლენდს" რომ მოვუგეთ და დასაწყისშივე ჩავახშეთ ეს უკუპროცესი" — ცოტა ტრაბახობდა აივერსონი ნამატჩევს. შექება კი ეკუთვნით მასაც და მის დამხმარეთაც, პორტლენდში „პორტლენდის" 88:60 განადგურება იოლი საქმე როდია.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 38 | 24 | 61,3 |
| ფილადელფია | 35 | 25 | 58,3 |
| ბოსტონი | 35 | 26 | 57,4 |
| ორლანდო | 32 | 30 | 51,6 |
| ვაშინგტონი | 30 | 31 | 49,2 |
| ნიუ იორკი | 26 | 35 | 42,6 |
| მაიამი | 20 | 40 | 33,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 38 | 23 | 62,3 |
| ინდიანა | 38 | 23 | 62,3 |
| ნიუ ორლეანი | 35 | 27 | 56,5 |
| მილუოკი | 30 | 31 | 49,2 |
| ატლანტა | 24 | 38 | 38,7 |
| ჩიკაგო | 22 | 41 | 38,9 |
| ტორონტო | 19 | 39 | 32,8 |
| კლივლენდი | 11 | 50 | 18,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 46 | 14 | 76,7 |
| სან ანტონიო | 42 | 18 | 70,0 |
| მინესოტა | 40 | 23 | 63,5 |
| იუტა | 35 | 25 | 58,3 |
| ჰიუსტონი | 31 | 30 | 50,8 |
| მემფისი | 19 | 41 | 31,7 |
| დენვერი | 12 | 50 | 19,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 43 | 19 | 69,4 |
| პორტლენდი | 39 | 22 | 63,9 |
| ლეიკერსი | 33 | 26 | 55,9 |
| ფინიქსი | 33 | 28 | 54,1 |
| გოლდენ სტეიტი | 30 | 31 | 49,2 |
| სიეტლი | 28 | 32 | 46,7 |
| კლიპერსი | 19 | 41 | 31,7 |

საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

7 მარტი. ბათუმი

### ბასკო 110:95 ქუთაისი

**ბასკო:** დ. ბერიშვილი (7), ბაბიაშვილი (17), შენგელია (20), წოწელია (5), ნიკოლაძე (12), ცინცაძე (22), კეშელავა (4), ქარაბაკი (12), კეიდია (6), როდუმტა (2), ჯონსი (4)
**ქუთაისი:** ნ. შანიძე (2), ვ. მაისურაძე (11), ცერცვაძე (2), ნინუა (4), დოლიძე (8), კვიმსაძე (29), დარახველიძე (2), შაველაყაძე (3), პირტახია (11), მ. ბოლქვაძე (17), ა. ბოლქვაძე (3)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

# შაპიტო ახალი წესებით და ძველი ჩემპიონით იწყებს

**ტრადიციას** ვერსად გავექცევით — უკვე მერვედ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატი მელბურნში, ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით იწყება. ოღონდ ეგაა, „სამეფო რბოლების" წარმომადგენლები კარსმომდგარ სეზონს ახალი რეგლამენტით და შესუსტებული შემადგენლობით ხვდებიან.

საფორმულო საჯინიბოს შენახვა ასტრონომიული თანხა ჯდება, რასაც ბუნებრივია, ყველა მეპატრონე ვერ ახერხებს. უფულობის მიზეზით ავტოელიტას შარშან ორი გუნდი გამოაკლდა — ჯერ იყო და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტის ფირმა გაკოტრდა, სეზონის ბოლოს კი იგივე ბედი ეწია უხეირო „ეროუსს". შედეგად, 2002 წლის ჩემპიონატი დუეინის ნაცვლად ათმა საჯინიბომ ჩაამთავრა. არაერთი ცდის მიუხედავად, იმ წყალწაღებულებს არაფერი ეშველათ და წლევანდელ, 54-ე საფორმულო სეზონში, დარჩენილი ათეულის ოცი პილოტი ჩაებმება.

რაც შეეხება საწესდებო ცვლილებებს, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია (FIA) თითქმის ყოველწლიურად ანახლებს თავისივე დაკანონებულ ნორმატივებს მრბოლთა უსაფრთხოებისა და საჩემპიონო ბრძოლის ინტრიგის ასამაღლებლად.

ამიერიდან ყოველ ეტაპზე ქულები ექვსის ნაცვლად რვა მრბოლს დაერიცხება. გამარჯვება ისევ 10 ქულად ფასობს, მომდევნო შვიდეული კი შესაბამისად 8,6,5,4,3,2 და 1 ქულას მიიღებს.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა საკვალიფიკაციო რეგლამენტშიც: უწინდელი ოთხი ცდის ნაცვლად, პილოტებს ახლა მხოლოდ თითო ჩასათვლელი წრის უფლება ეძლევათ, ამდენად, რბოლის სტარტზე მათი განლაგება ბევრად იქნება დამოკიდებული ამინდსა და შემთხვევითობაზე. თანაც რბოლას საპოულე საათის შემდეგ ავზში დარჩენილი საწვავით დაიწყებენ, რაკი ახალი წესებით სტარტამდე ბენზინის ჩამატება აიკრძალა.

„მოხეტიალე ცირკის" წლევანდელ კალენდარში 16 ეტაპია, შარშანდელზე ერთით ნაკლები. „ბელგიის დიდი პრიზი", რომელიც ფორმულა 1-ის დასაბამიდან, 1950 წლიდან თამაშდებოდა, თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიას შეეწირა, რადგან ამ ქვეყნის პარლამენტმა სიგარეტის რეკლამას ტაბუ დაადო.

ჩემპიონობის უპირობო ფავორიტად რა თქმა უნდა, ყველა მიხაელ შუმახერს თვლის. „წითელი ბარონი" თავადაც დარწმუნებულია, რომ შვიდთვიან მარათონს ექვსგზის ტრიუმფატორად დაასრულებს, „ფერარი" კი ზედიზედ მეხუთედ მოიპოვებს კონსტრუქტორთა თასს, რითაც შუმი და „სკუდერია" მორიგ ორ მარადიულ რეკორდს მიითვლის.



მიხაელ შუმახერი მეექვსე ტრიუმფსაც აპირებს

## 54-ე ჩემპიონატის მონაწილეები

| № | მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | ასაკი | რბოლა | მოგება | პოდიუმი | პოული | უ/წრე | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 34 | 179 | 64 | 114 | 50 | 51 | 945 |
| 2 | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | ფერარი | 30 | 164 | 5 | 35 | 6 | 8 | 272 |
| 3 | ხუან პაბლო მონტოია | კოლუმბია | უილიამსი | 27 | 34 | 1 | 11 | 10 | 6 | 81 |
| 4 | რალფ შუმახერი | გერმანია | უილიამსი | 27 | 100 | 4 | 20 | 1 | 6 | 177 |
| 5 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი | 31 | 141 | 12 | 57 | 12 | 18 | 400 |
| 6 | კიმი რაიკონენი | ფინეთი | მაკლარენი | 23 | 34 | — | 4 | — | 1 | 33 |
| 7 | იარნო ტრული | იტალია | რენო | 28 | 97 | — | 1 | — | — | 38 |
| 8 | ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | რენო | 21 | 17 | — | — | — | — | — |
| 9 | ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | ზაუბერი | 25 | 50 | — | 1 | — | — | 19 |
| 10 | ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | ზაუბერი | 35 | 141 | 3 | 17 | 2 | 6 | 161 |
| 11 | ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | ჯორდანი | 30 | 107 | — | 9 | 1 | 1 | 82 |
| 12 | რალფ ფირმენი | დიდი ბრიტანეთი | ჯორდანი | 27 | — | — | — | — | — | — |
| 14 | მარკ ვებერი | ავსტრალია | იაგუარი | 26 | 16 | — | — | — | — | 2 |
| 15 | ანტონიო პიცონია | ბრაზილია | იაგუარი | 22 | — | — | — | — | — | — |
| 16 | ჟაკ ვილნევი | კანადა | B.A.R | 31 | 116 | 11 | 23 | 13 | 9 | 213 |
| 17 | ჯენსონ ბატონი | დიდი ბრიტანეთი | B.A.R | 23 | 51 | — | — | — | — | 28 |
| 18 | ჯასტინ უილსონი | დიდი ბრიტანეთი | მინარდი | 24 | — | — | — | — | — | — |
| 19 | იოს ფერსტაპენი | ჰოლანდია | მინარდი | 31 | 91 | — | — | — | — | 17 |
| 20 | ოლივიე პანი | საფრანგეთი | ტოიოტა | 36 | 125 | 1 | 5 | — | — | 64 |
| 21 | კრისტიანო და მატა | ბრაზილია | ტოიოტა | 29 | — | — | — | — | — | — |

## კალენდარი

| თარიღი | ქვეყანა | ქალაქი | ტრასა, კმ | დისტანცია, კმ | სისწრაფის რეკორდი, კმ/სთ |
|---|---|---|---|---|---|
| 9 მარტი | ავსტრალია | მელბურნი | 5,303 | 307,574 | 216,4 - მ. შუმახერი |
| 23 მარტი | მალაიზია | კუალა-ლუმპური | 5,543 | 310,408 | 203,5 - მონტოია |
| 6 აპრილი | ბრაზილია | სან პაულუ | 4,309 | 305,909 | 207,5 - მ. შუმახერი |
| 20 აპრილი | სან მარინო | იმოლა | 4,933 | 305,609 | 211,0 - ბარიკელო |
| 4 მაისი | ესპანეთი | ბარსელონა | 4,730 | 307,323 | 211,9 - მ. შუმახერი |
| 18 მაისი | ავსტრია | შპილბერგი | 4,326 | 307,146 | 224,7 - მ. შუმახერი |
| 1 ივნისი | მონაკო | მონტე კარლო | 3,370 | 262,860 | 155,5 - ბარიკელო |
| 15 ივნისი | კანადა | მონრეალი | 4,361 | 305,270 | 206,7 - მონტოია |
| 29 ივნისი | ევროპა (გერმანია) | ნიურბურგი | 5,146 | 308,356 | 209,3 - მონტოია |
| 6 ივლისი | საფრანგეთი | მანი კური | 4,411 | 308,584 | 203,9 - კულჰარდი |
| 20 ივლისი | დიდი ბრიტანეთი | სილვერსტოუნი | 5,141 | 308,356 | 222,8 - ბარიკელო |
| 3 აგვისტო | გერმანია | ჰოკენჰაიმი | 4,574 | 306,458 | 213,3 - მ. შუმახერი |
| 24 აგვისტო | უნგრეთი | ბუდაპეშტი | 4,384 | 306,880 | 187,8 - მ. შუმახერი |
| 14 სექტემბერი | იტალია | მონცა | 5,793 | 306,764 | 249,3 - ბარიკელო |
| 28 სექტემბერი | აშშ | ინდიანაპოლისი | 4,192 | 306,016 | 207,5 - ბარიკელო |
| 12 ოქტომბერი | იაპონია | სუძუკა | 5,824 | 308,476 | 218,0 - მ. შუმახერი |

# F1

**პირველი ეტაპი** ავსტრალიის დიდი პრიზი

## ალბერტ პარკი

*მელბურნი, 9 მარტი*



**ტრასის სიგრძე** ------------------------------------ 5.303 კმ
**რბოლის დისტანცია** ---------------------- 58 წრე — 307.574 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 7 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ.შუმახერი (ფერარი) 2 მონტოია (უილიამსი); 3 რაიკონენი (მაკლარენი); 4 ირვინი (იაგუარი); 5 ვებერი (მინარდი); 6 სალო (ტოიოტა)

**წრის რეკორდი:** 2001 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:28.214 (216,4კმ/სთ)

## ავსტრალიური არქივი

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | პოდიუმი | ქულა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. შუმახერი | გერმანია | 3 | 5 | 42 | 1 | 12 |
| ბერგერი | ავსტრია | 2 | 4 | 39 | 1 | 13 |
| პროსტი | საფრანგეთი | 2 | 4 | 28 | — | 7 |
| დ. ჰილი | ბრიტანეთი | 2 | 3 | 24 | 1 | 7 |
| სენა | ბრაზილია | 2 | 3 | 21 | 6 | 9 |
| კულჰარდი | ბრიტანეთი | 1 | 3 | 22 | — | 8 |
| პიკე | ბრაზილია | 1 | 3 | 20,5 | — | 7 |
| ირვინი | ბრიტანეთი | 1 | 2 | 20 | — | 10 |
| მენსელი | ბრიტანეთი | 1 | 3 | 19 | 3 | 8 |
| ბუტსენი | ბელგია | 1 | 2 | 19 | — | 8 |
| ჰაკინენი | ფინეთი | 1 | 2 | 16 | 3 | 11 |
| როსბერგი | ფინეთი | 1 | 1 | 9 | — | 2 |
| ბარიკელო | ბრაზილია | — | 2 | 15 | 1 | 10 |
| ფრენცენი | გერმანია | — | 2 | 12 | — | 9 |
| ვილნევი | კანადა | — | 1 | 11 | 2 | 7 |
| პანი | საფრანგეთი | — | 1 | 10 | — | 8 |
| რ. შუმახერი | გერმანია | — | 2 | 8 | — | 6 |
| მონტოია | კოლუმბია | — | 1 | 6 | — | 2 |
| რაიკონენი | ფინეთი | — | 1 | 5 | — | 2 |
| ფიზიკელა | იტალია | — | — | 5 | — | 7 |
| ჰაიდფელდი | გერმანია | — | — | 3 | — | 3 |
| ვებერი | ავსტრალია | — | — | — | — | 2 |

გუშინ მელბურნში წინასაკვალიფიკაციო ცდისას წრე ყველაზე სწრაფად, 1 წუთსა და 26,372 წამში ფერარელმა რუბენს ბარიკელომ გაიქროლა. ეს კი ახალი წესის თანახმად ნიშნავს, რომ დღეს იგი საპოულე ბრძოლაში ბოლო გავა ტრასაზე და ამდენად სხვებთან შედარების გარკვეული უპირატესობა ექნება. რუბინიო პირველი, იყო, მისი გოროზი თანაგუნდელი მიხაელ შუმახერი კი მეოთხე გახლდათ. კიდევ ერთმა ფავორიტმა უმცროსმა შუმახერმა, რალფმა მხოლოდ მე-14 დრო აჩვენა.



REUTERS მელბურნიდან

გუშინ რალფ შუმახერი ძალიან ჩაფლავდა, მე-14 იყო

ევროპის ერთა თასი 2003. მესამე ტური

# რუსეთი — საქართველო

8 მარტი. კრასნოდარი. «დინამო». 15 საათი

# რუსეთი პრობლემა ფრანგისთვის, პრობლემა ქართველებისთვის



**გუშინ,** საღამოს ხუთ საათზე, საქართველოს ნაკრები ჩარტერული რეისით გაფრინდა კრასნოდარში, სადაც დღეს რუსეთის ნაკრებს დაეჯახება. გაფრენამდე ბორჯღალოსნებმა საგურამოში ივარჯიშეს მგზავრობის წინ კლოდ სორელმა მსუბუქად დატვირთა შეგირდები. ნაწვიმარ და ატალახებულ მოედანზე ჩვენებმა რამდენიმე კომბინაცია დაამუშავეს და აუტებში ივარჯიშეს.

სორელმა გუშინწინ კი დაასახელა სარუსეთო 22-კაციანი შემადგენლობა, მაგრამ გუშინ გადაწყვეტილება შეცვალა და დამწყებ და სათადარიგო შემადგენლობებში კორექტივები შეიტანა. სორელმა ეს ნაბიჯი იძულებით გადადგა: ახლახან თითმოტეხილი ბესიკ ხამაშურიძე რუსებთან რკენას მოარიდა. ხამაშურიძის ნაცვლად კრასნოდარში „ლელოს" მორკინალი მამუკა გორგოძე გაფრინდება, ასე რომ, ჩვენებს მარქაფში ერთით მეტი მორკინალი და ერთით ნაკლები უკანახაზელი ეყოლებათ.

გამგზავრებამდე კლოდ სორელმა და რამდენიმე მორაგბემ წინასამატჩო კომენტარები გააკეთეს.

**კლოდ სორელი:** რუსები ყოველთვის გვიქმნიან პრობლემებს და იოლ გამარჯვებას არც ახლა ველით. ბიჭების მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. თუ ჩემებმა ყველა მითითება შეასრულეს, დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ. თუ არა და, იღბალი გადაწყვეტს ყველაფერს.

**მალხაზ ურჯუკაშვილი:** ესპანეთ—რუსეთის მატჩის ვიდეოფირი რამდენჯერმე ვნახეთ და შესაბამისი დასკვნები გამოვიტანეთ. რუსები ძალისმიერ რაგბის თამაშობენ და ტექნიკასთან ცოტა მწყრალად არიან. მათ ტაქტიკით და ტექნიკით უნდა ვაჯობოთ.

**ვანო ნადირაძე:** მთავარია, ზედმეტი ემოციებისა და ნერვიულობის გარეშე ვითამაშოთ. ამ განწყობით მივდივართ კრასნოდარში. არ უნდა ავყვეთ შესაძლო პროვოკაციებს და დამწყები მორაგბეებივით არ უნდა ავვარდეთ. ერთი სიტყვით, ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ.

**გოდერძი შველიძე:** მოვიგებთ, აუცილებლად მოვიგებთ! დანარჩენი მერე იყოს.

**საქართველოს ნაკრები**

**ძირითადი შემადგენლობა**

| | |
|---|---|
| 15 | ბადრი ხეხელაშვილი |
| 14 | მალხაზ ურჯუკაშვილი |
| 13 | თედო ზიბზიბაძე |
| 12 | ირაკლი გიორგაძე |
| 11 | ირაკლი გუნდიშვილი |
| 10 | პალიკო ჯიმშელაძე |
| 9 | ირაკლი აბუსერიძე |
| 8 | ილია ზედგინიძე (კაპ) |
| 7 | გრეგუარ იაშვილი |
| 6 | გია ლაბაძე |
| 5 | ვიქტორ დიდებულიძე |
| 4 | ვანო ნადირაძე |
| 3 | ტარიელ რატიანიძე |
| 2 | აქვსენტი გიორგაძე |
| 1 | გოდერძი შველიძე |

**სათადარიგონი**

| | |
|---|---|
| 16 | მევლუდ მთიულიშვილი |
| 17 | დავით ხინჩაგაშვილი |
| 18 | ზურაბ მჭედლიშვილი |
| 19 | დავით ბოლოაშვილი |
| 20 | მამუკა გორგოძე |
| 21 | მერაბ კვირიკაშვილი |
| 22 | კახა ალანია |

**ევროპის ერთა თასი 2003**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | + 5 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | + 33 | 2 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | + 27 | 2 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | - 1 | 0 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | - 64 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

**მესამე ტური 8-9 მარტი**

რუსეთი — საქართველო

ესპანეთი — რუმინეთი

პორტუგალია — ჩეხეთი



# ძმაო, ძმითა ხარ მამალი

## სად ითამაშებს შარლ-ედუარდი?

*რუსეთ — საქართველოს მატჩის შემდეგ პირველი, რასაც გავაკეთებ, დავრეკავ და ჩემი ძმის ამბავს გავიგებ — გვითხრა გუშინ საქართველოს ნაკრების მორკინალმა გრეგუარ იაშვილმა. მისი უმცროსი ძმა დიმიტრი დღეს მსოფლიოს საუკეთესო მორაგბის ფაბიენ გალტიეს მაგივრობას გასწევს და საფრანგეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშებს. დღეს დუბლინში ექვსი ერის მატჩია, ბრაიან ოდრისკოლისა და კიტ ვუდის ირლანდია სავარსკვლავოდ გამზადებული დიმიტრი იაშვილის საფრანგეთს მასპინძლობს.*

— ძალიან ვამაყობ, ჩემი ძმა საფრანგეთის ნაკრებში რომ თამაშობს, ეს დიდი შრომის და მოთმინების შედეგია. დიმიტრი 22 წლისაა და უკვე წარმოუდგენლად ბევრს მიაღწია. მის ასაკში საფრანგეთის ნაკრების მაისურა ერთეულებს მოურგიათ.

**— ხომ არ გერჩივნათ, რომ დიმიტრის მხარდამხარ საქართველოს ნაკრებში გეთამაშათ, ან პირიქით, საფრანგეთის ღირსება ერთად დაგეცვათ?**

— ორივემ უკვე გავაკეთეთ არჩევანი, ვეღარაფერს შევცვლით. ერთი წუთითაც არ ვნანობ, რომ საქართველოს ნაკრებში ვარ, აქ ხომ ამდენი კარგი ადამიანი დამიმეგობრდა. დიმიტრიც ბედნიერია, საფრანგეთის ნაკრების წევრობით, მით უმეტეს, რომ უკვე გალტიეზე უკეთესი პრესა აქვს. დიმიტრისთან ერთად თამაშის იმედი ჯერ კიდევ მაქვს, ოღონდ ეს მხოლოდ საკლუბო დონეზე მოხდება. ცხადია, თუ ოდესმე „ბიარიცში" გადავედი.

**— საინტერესოა, ვის უქომაგებს მამათქვენი, თუ ოდესმე საქართველოს ნაკრები საფრანგეთს შეხვდება?**

— ალბათ მისი გული ორად გაიყოფა. ერთს კი ნაღდად გეტყვით. ვის არა და, რას უქომაგებს, ვიცი.

**— რას?**

— ფრეს, ასეთი შედეგით იგი ბედნიერი იქნება.

**— თქვენი ნაბოლარა ძმა შარლ-ედუარდიც მორაგბეა...**

— შარლ-ედუარდი 17 წლისაა, შარშან „ბრივიდან" „ბიარიცში" გადავიდა. „ბიარიცში" მას რეკომენდაცია დიმიტრიმ გაუწია. მიუხედავად ასაკისა, დიმიტრი „ბიარიცის" ლიდერია. გუნდში დიდი ავტორიტეტი აქვს. შარლ-ედუარდი კარგი მორაგბეა და შორს არ არის ის დღე, როცა საფრანგეთის ან საქართველოს რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში დაუძახებენ.

**— თქვენი აზრით, რომელს აირჩევს შარლ-ედუარდი?**

— ვერ გეტყვით, ეს მისი პირადი საქმეა და არანაირი უფლება არ მაქვს მის არჩევანში ჩავერიო.

**— თქვენ რომელს ურჩევდით?**

— რა ჩამჭრელ კითხვებს მისვამთ? მოდით, ასე ვთქვათ, თვითონ გადაწყვიტოს.

**— და ბოლოს, როგორ დასრულდება რუსეთ — საქართველოს მატჩი?**

— მოვიგებთ, ერთი ლელო კი ჩემზე იყოს.

**ბაჩო სვანიძე**

# დღევისთვის

საქართველოს რაგბის ნაკრები კვლავ კრასნოდარს ჩაფრინდა რუსებთან სათამაშოდ.

როგორღაც ხმადაბლა და ჩვეულებრივად გამომივიდა ეს ნათქვამი, ჩვენების გამო კი ასე ჩვეულებრივად და უბრალოდ იშვიათად გამომსვლია.

თუმცა, აქ მე და თქვენ კი არა ვართ მთავარი. რაგბის ნაკრები და კრასნოდარის „დინამოს" მინდორია, სადაც ჩვენს გუნდს ისტორიული რამ ჯახი მოუგია რუსთათვის და ჩვენში ნამდვილი რწმენა მორაგბეთა გუნდისა სწორედ იმ თამაშიდან დაიბადა.

ახლა კი ამ წასვლაზე ხმაური არ ყოფილა. არც მედიას მოუკლავს თავი და ყიჟინაც არ გაგვიგონია. ამბობენ, კლოდ სორელი ახალგაზრდებსა ცდის, წლევანდელ ევროპის თასს მსოფლიოს თასისთვის მზადებად განიხილავსო. ჩვენებმა გამოცხადებული გამარჯვება პორტუგალიაში მარცხად იწვნიეს, მერე თბილისის თოვლში ესპანელები მიანგრიეს და ახლა ისევ რუსეთი...

მწვრთნელს თავისი გეგმა აქვს. აქაიქ, ლაპარაკებიდან ათასი რამ გამოსჭვივის. ვთქვათ, სორელის მიდგომა რუსებთან თამაშისადმი სხვაგვარია, რუსები კი, ცხადია, გამწარებულნი არიან და სერიოჟა სერგეევი და მისი თანამებრძოლები მხეცურად იბრძოლებენ ჩვენს წინააღმდეგო.

იქით იყოს ეს მიდგომები, თუ რაც არის. ის პირველი წინადადებაც ეგრე მშრალი იმიტომ გამომივიდა. საკითხიც აი, ეს არის: მწვრთნელს თავისი საფიქრალი აქვს და გულშემატკივარმა უნდა მიუსადაგოს თავისი საფიქრალი მის საფიქრალს? არ უნდა მიუსადაგოს. ეგრე სადამდე წავა?

რაგბის გუნდი ჩვენი ერთადერთი სიამაყე და იმედია. თუკი სახალხო სიხარული მოუნიჭებია გუნდურ თამაშს, გუნდობას ჩვენთვის, სწორედ რაგბის. თანაც წინ არის მსოფლიო თასი, რომელიც ქართული რაგბის თემმა იმ ლონიერ მხრებით, ომით და კაცობით მოგვიტანა და წინ დაგვიდო.

ჩვენ როგორ ვიფიქროთ, რომ გმირები გვყავს და ეს თამაში რუსებთან განსხვავდება იმ თამაშებისგან, წინათ რომ ყოფილა? ვერ ვიფიქრებთ იმიტომ, რომ მორაგბეებმა გმირობას და სიხარულს მიგვაჩვიეს.

ამიტომ, ჩვენ მოველით მათგან ყოველთვის გმირობას და სიხარულს.

დღესაც დიდი მატჩია და დღესაც საბრძოლაა. ცხადია, ამის შეხსენება ჩვენებს არ სჭირდებათ. უბრალოდ, გულმა რეჩხი მიყო, პირველი წინადადება რომ ასე დავწერე. ევროპის თასი ისევ ევროპის თასია და ერთხელ მოგვიგია. რუსი კი ისევ რუსია. რაგბი ისევ რაგბია და საომარი ისევ საომარია.

# ჯიში: ფაქტი და ფაქტორი

## ვინ შეცვლის მსოფლიოში საუკეთესოს?

# დიმიტრი იაშვილი



*ამ ბიჭზე დღეს მთელი სარაგბო მსოფლიო ლაპარაკობს. ის საფრანგეთში ქართველი ემიგრანტის შთამომავალი, საქართველოს ნაკრების მორკინალის გრეგუარ იაშვილის უმცროსი ძმა და საფრანგეთის ნაკრების ლეგენდარული მორაგბის მიშელ იაშვილის შუათანა ვაჟია. იგი მხოლოდ 22 წლისაა და უკვე ვარსკვლავია. ეს ბიჭი დიმიტრი იაშვილია, ფრანგული რაგბის მომავალი და „ბიარიცის" ჯეელი ვარსკვლავი. იყო შანსი დიმიტრის საქართველოს ნაკრებში უფროსი ძმის მხარდამხარ ეთამაშა. 1996 წელს, იგი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრიც იყო და ათნომრიანი ბორჯღალიანი მაისურა უელსში, მსოფლიოს თასზე ეცვა. მაგრამ მაშინ დიმიტრი საქართველოსთვის დაიკარგა. 16 წლის ვუნდერკინდზე ევროპის ბობოლა კლუბებმა ნადირობა გააჩაღეს. დიმიტრის კარიერაც უცებ აეწყო. უელსის მერე იყო ინგლისური „გლოსტერი", სადაც დიმიტრის ვარსკვლავმა გაიბრწყინა, და ახლა ფრანგული „ბიარიცი", რომელშიც დიმიტრი დღეს თამაშობს და თავისი ჯიგრით და ვირტუოზობით ქომაგი აღფრთოვანებაში მოჰყავს. დიმიტრის გუშინ დუბლინში დავუკავშირდით, სადაც თავისიანებთან ერთად ირლანდიასთან საომრად ემზადებ*

— საქართველოდან? ცოტა მოულოდნელია, მაგრამ არ დაგიმალავთ და ძალიან გამიხარდა...

**— დიმიტრი, რას გრძნობთ, როცა საფრანგეთის ნაკრების მაისურა გაცვიათ?**

— უდიდეს სიამაყეს ვგრძნობ. ხვალ მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე ფაბიენ გალტიე უნდა შევცვალო და ცოტა ვნერვიულობ. საერთოდ კი უზომოდ ბედნიერი ვარ, ძალიან ახალგაზრდა საფრანგეთის ნაკრებში ვთამაშობ.

**— თქვენ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებშიც გითამაშიათ...**

— დიახ, თუ არ ვცდები ეგ შვიდი წლის წინანდელი ამბავია. უელსში ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მე-10 ნომერი ვიყავი. მაშინ ძალიან დიდი გამოცდილება შევიძინე. მერე ინგლისური „გლოსტერის" ახალგაზრდულ გუნდში ამიყვანეს, სადაც ჩამოვყალიბდი კიდეც მორაგბედ.

**— მაშინ თქვენს საქართველოს ნაკრებში თამაშზეც იყო ლაპარაკი...**

— ამის შესახებ ბევრიც არაფერი ვიცი. კონკრეტულ წინადადებამდე საქმე არ მისულა.

**— საქართველოს ნაკრებში თამაში რომ შემოეთავაზებინათ, რას იტყოდით?**

— ახლა ძნელია ამის თქმა, დავთანხმდებოდი თუ არა. მაშინ ბავშვი ვიყავი... უკვე ჩავლილი ამბავია და მოდით შევეშვათ. მე გავაკეთე არჩევანი და საფრანგეთის ნაკრებში ვარ.

**— საქართველოს შესახებ არ იცით?**

— ვიცი, რომ ბაბუაჩემი ქართველი იყო და ნათესავებიც მყავს საქართველოში. გრეგი მიყვება-ხოლმე, როგორი სიყვარულით ხვდებიან მას ჩვენი ნათესავები. კიდევ ის, რომ საბჭოთა კავშირის ნაწილი იყავით და ეკონომიურად ახლა ძალიან გიჭირთ. ალბათ მოვა დრო, როცა საქართველოში ჩამოვალ და ყველაფერს ჩემი თვალით ვნახავ. გრეგმა მითხრა ძალიან სტუმართმოყვარე და თბილი ხალხიაო.

**— საქართველოს ნაკრებზე რა იცით?**

— აქ უფრო გათვითცნობიერებული ვარ. გრეგის მონაყოლიდან ვიცი, რომ ძალიან მეგობრული გუნდია. ბიჭები სულ ხუმრობენ და ძმებივით არიანო. ვიცი, რომ ორი წლის წინ ევროპის ერთა თასი მოიგეს, რაც ისეთი პატარა ერისთვის, როგორიც საქართველოა, დიდი მიღწევაა. შემოდგომაზე მსოფლიოს თასზე ითამაშებენ, ეს შესანიშნავია! რამდენიმე ქართველ მორაგბესაც ვიცნობ, საფრანგეთში ძალიან ბევრი ქართველი თამაშობს.

**— ქართველებიდან ვის იცნობთ?**

— „მონფერნის" მორკინალებს ლევან ცაბაძეს და დავით აშვეთიას. ცაბაძე კარგი პიროვნება და ძლიერი მორაგბეა. მისი და აშვეთიას წინააღმდეგ მითამაშია კიდეც. მატჩის შემდეგ ისინი გრეგმა გამაცნო. კიდევ ჯიმშელაძეს ვიცნობ, ისიც გრეგმა გამაცნო. პალიკო მხიარული, მეგობრული ბიჭია.

**— შენ და გრეგუარი სხვადასხვა ქალაქის გუნდებში თამაშობთ, ერთმანეთს ხშირად უკავშირდებით?**

— ძალიან ხშირად. ჩვენ განსაკუთრებული ძმობა გვაქვს. გრეგი ხშირად მაძლევს შენიშვნებს. მეც ვუსწორებ რაღაცეებს... ძმები ვართ, ასეც უნდა იყოს, ძალიან მიხარია, რომ გრეგმა საქართველოს ნაკრებში ფეხი მოიკიდა, მას მთელი სულით და გულით ვქომაგობ. ახლაც, ცოტა ხნის წინ ველაპარაკეთ ერთმანეთს. მითხრა, უკვე კრასნოდარში ვართო.

**— თქვენი ძმა ხვალ რუსეთთან ითამაშებს...**

— როგორც გრეგისგან ვიცი, რუსებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ჩემ ძმას და თქვენ გისურვებთ, რომ რუსები დაგემარცხებინოთ. ამას გულით ვამბობ.

**— მამათქვენი მიშელი, საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი იყო. ალბათ ამანაც იქონია გავლენა შვილების მორაგბედ ჩამოყალიბებაში...**

— რა თქმა უნდა, არადა, შეიძლება ფეხბურთელი გამოვსულიყავი. თორმეტ წლამდე ფეხბურთს ვთამაშობდი. თავდამსხმელი ვიყავი. მაგრამ, ოჯახურმა ტრადიციამ თავისი გაიტანა. მამის სახლში ყველაფერი პრიზებით, სარაგბო ინვენტარითაა გამოვსებული. ღედაჩემის ძმაც მორაგბე იყო და მეც რაგბის თამაში დავიწყე.

**— საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი მამათქვენის მეგობარია. მას თუ იცნობთ?**

— სამწუხაროდ, არა. რამდენჯერმე მამაჩემის სტუმარი იყო, მაგრამ არასდროს შევხვედრივარ.

**— ხვალ დიდი გამოცდა გელით, საფრანგეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშებთ. თანაც მეტოქე ირლანდიაა...**

— დარწმუნებული ვარ მოვიგებთ. მე კი დავამტკიცებ, რომ ნაკრებში ტყუილად არ ვარ.

**— საუკეთესო სურვილებით გემშვიდობებით...**

— მეც ასევე. ქართველებს გისურვებთ დიდ გამარჯვებებს და იმედია გრეგთან ერთად მალე ჩამოვალ საქართველოში.

**ბაჩო სვანიძე**

# მირიამ, გახსოვდეს ვისი გორისა ხარ



კიმ კლაისტერსი

## FRANKLIN TEMPLETON TENNIS CLASSIC

სკოტსდეილი. ჰარდი

საპრიზო 380 ათასი $

### მეორე წრე

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:1; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — **ფრანკო სკილარი** (არგენტინა) 6:2, 7:6 (7:5); **ალექს კორეჩა** (6, ესპანეთი) — **არნო დი პასკუალი** (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 3:6, 6:1; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — **სკოტ დრეიპერი** (ავსტრალია) 6:0, 6:4

ლეიტონ ჰიუიტი მაგარ ფორმაშია და ეს ამბავი იმ დღეს ყიტაპელ მამათა მთავარობოსიციონერის — უეინ ფერეირას დამაჯერებელი დამარცხებითაც ცხადყო.

ეს მატჩი ჰიუიტისთვის სკოტსდეილურ მაგარსაფარზე გამართული მე-16 შეხვედრა და მე-13 გამარჯვება გახლდათ. გეხსომებათ — კაცთა ამქრის 22 წლის უსტაბაში იქ 2000 წელს ჩემპიონია, 1999 წელს ფინალში ძლეულა, ხოლო 2001-ში ნახევარფინალამდე გააღწია.

რაც შეეხება მისა და ფერეირას დაპირისპირებას, მათ ერთმანეთთან მესამედ ითამაშეს და ჰიუიტი ახლა 2:1-ით უპირატესობს.

საინტერესოა, რომ მეოთხედფინალში ჭაბუკი ოზი მოჯანყე კაცმჭოგნეთა კიდევ ერთ წარმომადგენელს, ალექს კორეჩას გადაეყრება. ჰიუიტის დარად 17-გზის მეტიტულე ესპანელს იმ დღეს ისე-რა ფრანგ დი პასკუალისთან სამსეტიანი ბლარძუნი კი დასჭირდა, მაგრამ ოზბიჭთან ის მაინც უკეთეს პირად ბალანსს მოიძევს.

მათი ხუთი შეხვედრიდან პირველ ორში ავსტრალიელმა იმარჯვა, უკანასკნელ სამში კი — კორეჩამ. ოღონდ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სამიდან ორი მატჩი თიხნარსაფარზე, რომანულენოვან ხალხთა სათუღფე საფარზე გამართულა.

ჰო, მართლა — ჰიუიტისთვისაც და კორეჩასთვისაც ეს შეხლა პირველი საამსეზონო მეოთხედფინალი იქნება.

დანარჩენი ორი მატჩი კი შიდაეროვნული გამოდგა — შიდაარგენტინულში ნალბანდიანმა სკილარის აჯობა, შიდაავსტრალიურში კი 1997 წლის ჩემპიონმა ფილიპუსისმა სკოტ დრეიპერს გაუარა.

## INTERNATIONAL TENNIS CHAMPIONSHIPS

დელრეი ბიჩი. ჰარდი

საპრიზო 380 ათასი $

### მეორე წრე

**ჟან-მიშელ გემბილი** (4, აშშ) — **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) 7:5, 7:5; **ფლავიუ სარეტა** (ბრაზილია) — **ვინსენტ სპადია** (8, აშშ) 6:4, 3:6, 6:4; **რობერტ კენდრიკი** (აშშ) — **ჟანრენ ლინარი** (საფრანგეთი) 7:5, 7:5; **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) — **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) 5:7, 6:4, 1:0 (სარგსიანმა შეწყვიტა)

იმდღევანდელი დელრიბიჩული ამბებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი 23 წლის უსახელო ამერიკელის — რობერტ კენდრიკის მიერ კარიერის პირველ მეოთხედფინალში გასვლა გამოდგა.

ეს კენდრიკი თავის მეორე საეტიპო ტურნირზე გამოდის და პირველ წრეში რომ მეშვიდე ნომრად განთესილ შტეფან კუბეკს მოუგო, ეს მისი პირველი საეტიპო გამარჯვება გახლდათ.

მეოთხედფინალში ის ბელარუს ვოლჩკოს შეხვდება, ვინაც თავის მხრივ კუნთებნაკრუნჩხალ სარგსიანს გასცდა. ეს ბელარუსის მესამე საამსეზონო მეოთხედფინალია — სან ხოსესა და მემფისში ის მომავალ ჩემპიონებთან, აგასისა და ღენტთან დამარცხდა.

მეორე მეოთხედფინალური წყვილი შეადგინეს ამერიკელმა გემბილმა და ბრაზილიელმა სარეტამ. ამ უკანასკნელმა, ვისაც უკანასკნელ ოთხ ტურნირში მხოლოდ ერთი მატჩი მოეგო, მერვე ნომრად განთესილი სპადია აოტა. კენდრიკი რომ არ გამომტყვრალიყო, საპირველაბზაკო ამბადაც სწორედ ამას გავიტანდით, მაგრამ — გამოტყვრა და, რა გინდა, რომ ქნა?!

## PACIFIC LIFE OPEN

ინდიან უელსი. ჰარდი

საპრიზო 2,1 მილიონი $

### მეორე წრე

**ჯენიფერ კაპრიატი** (2, აშშ) — **ანტონელა სერა ძანეტი** (იტალია) 6:4, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — **დაია ბედანოვა** (ჩეხეთი) 6:3, 5:7, 6:1; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — **მირიამ კაზანოვა** (შვეიცარია) 6:4, 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — **ანასტასია მისკინა** (7, რუსეთი) 6:4, 6:7 (7:9), 6:3; **ანჯელიქ ვიჯაჯა** (ინდონეზია) — **პატი შნიდერი** (შვეიცარია) 6:4, 6:2; **ელენი დანილიდუ** (12, საბერძნეთი) — **სტეფანი ფორე** (საფრანგეთი) 7:5, 6:4; **ელენა ბოვინა** (13, რუსეთი) — **ჩო იონ-ძონი** (სამხრეთ კორეა) 6:4, 5:7, 6:1; **ელენა დემენტიევა** (14, რუსეთი) — **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი) 2:6, 6:4, 6:1; **სამანტა რივზი** (აშშ) — **პაოლა სუარესი** (20, არგენტინა) 4:6, 6:3, 6:4; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — **ალექსანდრა სტივენსონი** (22, აშშ) 6:4, 6:4; **მეგენ შონესი** (23, აშშ) — **ფლავია პენეტა** (იტალია) 6:3, 6:7 (6:8), 6:3; **მაგი სერნა** (ესპანეთი) — **კლარისა ფერნანდესი** (24, არგენტინა) 3:6, 6:4, 6:1; **ელენა ლიხოვცევა** (25, რუსეთი) — **მეილენ ტუ** (აშშ) 6:2, 6:2; **ვერა ზვონარევა** (რუსეთი) — **ივა მაიოლი** (28, ხორვატია) 6:1, 3:6, 6:2; **ტამარინე ტანასუგარნი** (29, ტაილანდი) — **შინობუ ასაგოე** (იაპონია) 6:2, 6:0; **დენიზა ხლადკოვა** (ჩეხეთი) — **ლაურა გრენვილი** (30, აშშ) 6:3, 6:0

ინდიანუელსური „პასიფიკ ლაიფ ოუპენი" უბობოლეს ტურნირთა კატეგორიას განეკუთვნება. იქ შეკრებილი 96 მდედრი, რომელთაგან 32 განთესილი გახლავთ და პირველ წრეში არ თამაშობს ხოლმე, ერთმანეთს ორ მილიონ დოლარზე მეტს ეცილება. შარშანდელი ჩემპიონი ნორჩი სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვაა, ვინაც — უნდა გახსოვდეთ — ფინალში მარტინა ჰინგისი დაასამარა.

წლევანდელ ტურნირზე ჩვენ მეორე წრიდან ვებმებით — საქმეში სახელოვან ქალთა ჩართვის კვალდაკვალ. ანგარიშებიდანაც დაატყობთ, იმ დღეს მოთამაშე ბობოლათაგან მხოლოდ უპერსპექტიულესმა რუსგოგომ, ზეთიუღე... ლში ახლახან ალზევებულმა ანასტასია მისკინამა და გამოცდილმა შვეიცარიელმა, პატი შნიდერმა წაიფორხილეს.

სიფრიფანა ტასიკოს სრულიად მოულოდნელად 17 წლის თვისტომი კუზნეცოვა მოერია, ხოლო შნიდერი ინდონეზიელ ვიჯაჯას ემსხვერპლა.

გაუჭირდათ ზორბა ამერიკელებს — დევენპორტსა და წლეულს მხოლოდ მესამე ტურნირზე მოპაექრე კაპრიატის. მათგან განსხვავებით, მსუბუქად წაივარჯიშა ამელი მორესმომ, რომელსაც წილისყრამ იმ დღეს გადასავლელად ჭყვიტინა შვეიცარიელი მირიამ კაზანოვა არგუნა.

საინტერესოა, რომ კაპრიატის ამ ტურნირზე მამა სტეფანოს ნაცვლად უმცროსი ძმა სტივენი უმწვრთნელებს. ეს ბიჭი ჯენიფერს ადრეც სპარინგობდა ხოლმე, მაგრამ ახლა შიდაოჯახური რანგი მოიმატა და ფლორიდაში ტელევიზორთან საპულტაოდ დარჩენილი მამის ფუნქციები გადაიბარა.

ვნახოთ, შეცვლის თუ არა სტივენი რამეს მისი დრანცულა დაიკოს აწეწილ საჩოგბურთო სამზარეულოში. ჩვენ უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ჯენის იქ 2000 წლის შემდეგ აღარ ეთამაშა და 1996 წლის შემდეგ ერთი მატჩიც ვეღარ მოეგო.

სხვაფრივ — განთესილ მდედრიონს ფუმფულა ბელგიელი კიმ კლაისტერსი ყოჩობს. კიმი ტურნირის შარშანწინდელი ფინალისტია და გასულ კვირას, ვინძლო, გახსოვდეთ, სკოტსდეილურ ფინალში მეწყვილე აი სუგიამასგან დაიჩოგნა.

**ლევან ქელაურაძე**



ლეიტონ ჰიუიტი



## რეგულარული ჩემპიონატი

# მალე ძალიან დაცხება იაგრი შეგრილდა

6 მარტი

**ბუფალო 4:2 ტორონტო** *0:0 2:1 2:1*

0:1 კორსონი (22), 1:1 შატანი (25), 2:1 პაიეტი (35), 3:1 ბრაუნი (45), 3:2 შვეპლა (59), 4:2 ბრაუნი (60)

წინასადღესასწაულო ცეხ-ცხელებაც ლაიწყო. შემწვრის სული ოთხშაბათსვე დატრიალდა ნჰლ-ში. პირველი დიდი შენაძენი ტორონტოემ გააკეთა, კანადურმა გუნდმა სან ხოსეს ლიდერი და კაპიტანი, ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო ძალისმიერი ფორვარდი ოუენ ნოლანი შეიძინა. შარშან ნოლანმა 40 გოლი გაიტანა, წლეულს კი არ წაუვიდა თამაში (ისევე როგორც მის გუნდს), თუმცა ტორონტოს თავკაცებს მის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებათ. ნოლანი ჯერ არ გამოჩენილა ტორონტოს შემადგენლობაში, ამასობაში კი „ნეკერჩხლის ფოთლები" ოუტსაიდერმა ბუფალომ დაამარცხა.

**სან ხოსე 4:3 მონრეალი** *0:1 1:1 2:1 1:0*

0:1 ოდეტი (14), 1:1 გარლო (23), 1:2 კილგერი (28), 2:2 გრეისი (50), 3:2 შტურმი (58), 3:3 ბუდიონი (59), 4:3 შტურმი (64)

სან ხოსეს ნოლანი აღარ ჰყავდა, მაგრამ „ზვიგენებმა" თავისი ორმატჩიანი უხეირობა მაინც შეწყვიტეს, თან ამჯერად დიდი ჟინი და ნებისყოფა გამოავლინეს, რის ნაკლებობასაც ასე განიცდიდა გუნდის თავკაცი რონ უილსონი. მონრეალი ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ სან ხოსემ მაინც თავისი გაიტანა.

**ვაშინგტონი 4:4 ატლანტა**

*2:1 1:2 1:1 0:0*

1:0 იაგრი (3), 1:1 ჰიტლი (5), 2:1 იაგრი (16), 3:1 ჰელპერნი (21), 3:2 კოუენი (24), 3:3 ჰიტლი (33), 3:4 ბარტეჩკო (45), 4:4 ჩერნიკი (58)

იარომირ იაგრის ბოლო მატჩებში უხეირო თამაში, თურმე ავადმყოფობის ბრალი ყოფილა, სუპერჩხუბი გაცივებულა და სიცხიანი ჩვეულად თამაშს აბა როგორ შეძლებდა. ახლა ჩეხი უკვე გამოჯანმრთელდა და აგერ 3(2+1) ქულაც მიითვალა.

**კოლუმბუსი 5:4 ვანკუვერი**

*0:1 4:2 0:1 1:0*

0:1 ბერტუცი (8), 0:2 ნესლუნდი (22), 1:2 უიტნი (25), 2:2 შაჩეკი (26), 2:3 მორისონი (26), 3:3 უიტნი (2,), 4:3 სენდერსონი (35), 4:4 ალენი (43), 5:4 ნეში (63)

**პიტსბურგი 0:4 კაროლინა** *0:1 0:2 0:1*

0:1 ონილი (3), 0:2 ონილი (35), 0:3 სან ჟაკი (38), 0:4 ადამსი (45)

**ბოსტონი 4:1 აილენდერსი** *2:0 0:1 2:0*

1:0 ზამუნერი (5), 2:0 მაკინისი (7), 2:1 სკაჩარდი (26), 3:1 მაკინისი (58), 4:1 მაკინისი (59)

35 მატჩის განმავლობაში უგოლოდ მოთამაშე ბოსტონელმა მარტი მაკინისმა ერთბაშად ჰეთ თრიქი შეასრულა.

**სენტ ლუისი 6:3 ფინიქსი** *3:0 0:0 3:3*

1:0 მელანბი (8), 2:0 სტილმანი (15), 3:0 მელანბი (19), 3:1 ნაზაროვი (22), 3:2 ბრირი (43), 4:2 მელანბი (46), 4:3 ლენგკოუ (50), 5:3 მელანბი (51), 6:3 რუჩინსკი (59)

ხუთშაბათამდე სენტლუისელ სკოტ მელანბის 18 სეზონის განმავლობაში 323 გოლი გაუტანია, მაგრამ ჰეთ თრიქი არასდროს დაუგემოვნებია, ფინიქსთან თამაშში კი „პოკერი" (4 გოლი) შეასრულა.

**ნეშვილი 2:2 მინესოტა** *2:0 0:2 0:0*

1:0 პედერსონი (3), 2:0 უოკერი (9), 2:1 ჟოლტოკი (26), 2:2 დიუპუი (29)

**ლოს ანჯელესი 1:2 ედმონტონი**

*0:1 1:0 0:1*

0:1 ჰემსკი (16), 1:1 ვისნოვსკი (24), 1:2 კარტერი (55)

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 67 | 41 | 7 | 1 | 18 | 211:146 90 |
| ნიუ ჯერსი | 66 | 38 | 6 | 5 | 17 | 174:138 87 |
| ვაშინგტონი | 69 | 32 | 8 | 4 | 25 | 189:181 76 |
| ფილადელფია | 65 | 35 | 11 | 2 | 17 | 156:133 83 |
| ტორონტო | 68 | 37 | 4 | 1 | 26 | 197:173 79 |
| ტამპა | 67 | 29 | 10 | 5 | 23 | 181:179 73 |
| ბოსტონი | 67 | 30 | 8 | 3 | 26 | 198:191 71 |
| აილენდერსი | 67 | 30 | 9 | 2 | 26 | 179:184 71 |
| რეინჯერსი | 69 | 27 | 9 | 2 | 31 | 181:204 65 |
| მონრეალი | 68 | 24 | 8 | 8 | 28 | 170:200 64 |
| ფლორიდა | 67 | 20 | 12 | 9 | 26 | 155:196 61 |
| პიტსბურგი | 68 | 25 | 4 | 5 | 34 | 166:206 59 |
| ატლანტა | 65 | 22 | 6 | 4 | 33 | 173:232 54 |
| ბუფალო | 66 | 20 | 8 | 6 | 32 | 147:176 54 |
| კაროლინა | 68 | 19 | 9 | 6 | 34 | 141:193 53 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 67 | 37 | 15 | 2 | 13 | 206:138 91 |
| ვანკუვერი | 68 | 39 | 10 | 1 | 18 | 215:172 89 |
| დეტროიტი | 66 | 37 | 9 | 3 | 17 | 209:165 86 |
| სენტ ლუისი | 67 | 35 | 8 | 6 | 18 | 212:171 84 |
| კოლორადო | 66 | 33 | 11 | 7 | 15 | 196:160 84 |
| მინესოტა | 66 | 33 | 9 | 1 | 23 | 160:143 76 |
| ანაჰაიმი | 68 | 32 | 8 | 4 | 24 | 163:162 76 |
| ედმონტონი | 67 | 28 | 8 | 8 | 23 | 178:186 72 |
| ნეშვილი | 66 | 26 | 10 | 5 | 25 | 163:164 67 |
| ლოს ანჯელესი | 67 | 28 | 4 | 4 | 31 | 173:183 64 |
| ფინიქსი | 66 | 26 | 8 | 4 | 28 | 169:180 64 |
| ჩიკაგო | 67 | 24 | 10 | 5 | 28 | 160:172 63 |
| სან ხოსე | 66 | 25 | 6 | 5 | 30 | 180:192 61 |
| კოლუმბუსი | 66 | 24 | 7 | 2 | 33 | 178:186 72 |
| კალგარი | 66 | 21 | 10 | 4 | 31 | 149:193 56 |

შენიშვნა: კონფერენციებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ქელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge